გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№69 (964) 30 ივნისი – 1 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რას ითხოვს ასოცირების ხელშეკრულება ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეებისგან

სტანდარტები და რეგულაციები, რომელთა დაცვითაც ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე მოხვდება გვ. 6

ირინა სარიშვილი პოლიტიკური პარტიების ფარული გარიგების სკანდალურ დეტალებს ასაჯაროებს

„ვინც სექტემბერში ქუჩის აქციებს აპირებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, მისი რეალური მიზანი ეს არ არის. ნამდვილი მიზანია, ამ ორპარტიულ სპექტრში მეორე ძირითადი ადგილი დაიკავოს და ეს ლოზუნგი მომავალი კი არა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის გამოიყენოს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რაიმე საშიშროებას დავინახავ, რომ ამ ქაოტურ აქციებს ერთი კაცი მაინც შეიძლება ემსხვერპლოს, აუცილებლად ყველა საშუალებას გამოვიყენებ ხალხის გასაფრთხილებლად!“

„რამდენიმე ადამიანი დამიკავშირდა „ოცნების“ საარჩევნო შტაბიდან და მიმანიშნა, ეგებ, გაჩუმდეთო“ გვ. 4

დავით ნარმანია და ალეკო ელისაშვილი „სითი პარკს“ ემუქრებიან

ვის ჯიბეში მიდის ყოველწლიურად 34 მილიონი და რატომაა კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება გასაიდუმლოებული გვ. 7

როგორ გადაარჩინა 80 წლის მკვლელმა რუსთავის №17 ზონა განითლებას

პატიმრის დღიური

გვ. 8

უგულავას მზაკვრული გეგმა, რომელიც „ოცნებას“ დაშოკავს

არჩევნების მეორე ტურის დეგიტიმურობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს

გვ. 3

თბილისი — უმუშევრობის დედაქალაქი

გვ. 8

„ევროპა უღმობელ ამოცანას გვიყენებს — ვიყოთ ხარისხიანნი!“

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

თავის ყველა მომხმარებელს „ლიბერთი კლუბში“ აწევრიანებს

გვ. 3

გვ. 7

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტმა მაგისტრატურაზე ბიზნესის ადმინისტრირებაში აბიტურიენტების მიღება დაიწყო

შსს-ს განცხადება ქიმიური ინციდენტის აღმოფხვრაზე

ჩოხატაურის რაიონში ქიმიური ინციდენტის აღმოფხვრის შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია: **„შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ქიმიურ, რადიაციულ და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფებმა დაბა ჩოხატურში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში მომხდარი ქიმიური ინციდენტი აღმოფხვრეს. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამორიგეოში შევიდა შეტყობინება, რომ ჩოხატაურის რაიონში, საცხოვრებელი სახლის ეზოში, სავარაუდოდ, რადიაციული გაჟონვა მოხდა. სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ქიმიურ, რადიაციულ და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი გავიდა შემთხვევის ადგილზე. სამაშველო ჯგუფების მისვლამდე პერიმეტრი შემოსაზღვრეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორებმა. გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სამმართველოს თანამშრომლებმა ინციდენტის მიმდებარე ტერიტორიიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოახდინეს. ქიმიურ, რადიაციულ და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფებმა ადგილზე მისვლისთანავე უსაფრთხოების საჭირო ზომები მიიღეს, სახიფათო ზონები შეამოწმეს და ვითარება შეაფასეს. შსს-ს მაშველებმა საცხოვრებელი სახლის ეზოში აღმოაჩინეს ლითონის 3 ბალონი. მათ მიერ ქიმიური და რადიაციული საშიშროების საანალიზო სპეციალური დეტექტორებისა და ხელსაწყოების საშუალებით ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად რადიაციული საფრთხე არ აღმოჩნდა. პირველადი ანალიზით დადგინდა, რომ ლითონის ბალონებში იყო ქლორი ან ქლორის შემცველი ნივთიერება, რომელმაც გაჟონა და გამოიწვია მოქალაქეების მსუბუქი ტოქსიკაცია. მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. შსს-ს სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ქიმიურ, რადიაციულ და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფებმა ინციდენტის ლიკვიდაცია სრულად განახორციელეს. ბალონები შესაბამისი წესების დაცვით გადაიტანეს უსაფრთხო ადგილას, სადაც საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ზედამხედველობით დაიგეგმა მათი შემდგომი გაუვნებელყოფა და სრული უტილიზაცია“.**

შეგახსენებთ: ქლორის გაჟონვის შემთხვევა ჩოხატაურის რაიონში გუშინ დაფიქსირდა.

„ვერსიანიუსი“

ანგელა მერკელი რუსეთს ემუქრება

თუ უახლოესი საათების განმავლობაში ჩვენ ვერ დავინახავთ რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მის წინააღმდეგ მკაცრ ზომებს მივიღებთ, — ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა ბრიუსელში განაცხადა.

მისივე თქმით, ევროკავშირი დამატებით ზომებს მიიღებს რუსეთის წინააღმდეგ უახლოეს საათებში, თუ უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმის შესრულებაში პროგრესი არ იქნება მიღწეული.

27 ივნისს, ბრიუსელში გამართულ სამიტზე, ევროკავშირის ლიდერებმა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები არ შემოიღეს, თუმცა რუსეთს მისცეს ვადა უკრაინაში შექმნილი ვითარების დეესკალაციისთვის საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „მიწა, წყაროს წყლები, მდინარეები, საბადოები არ უნდა გასხვისდეს!“

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის შეფასებით, მიწა, წყაროს წყლები, მდინარეები, საბადოები არ უნდა გასხვისდეს. საკვირაო ქადაგებისას ილია მეორემ ქვეყნის ამ რესურსის უცხოელთა ხელში გადასვლის საკითხზე ისაუბრა და ხელისუფლებას მიმართა, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ყურადღებით და რუდუნებით მიიღონ.

„რა არის მთავარი ფასეულობა, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ?! მე მახსოვს ჩემი ერთ-ერთი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. არ მახსოვს ნიუ იორკში თუ ვაშინგტონში ერთი ადგილი ვნახეთ, რომელიც იყო შეღობილი მავთულებით და იქ უზარმაზარ სახლებს შორის იყო გაშენებული პატარა ბოსტანი. როცა ვიკითხეთ, თუ რას ნიშნავდა შუა ქალაქში ბოსტანი, მათ გვიპასუხეს, რომ ეს არის კერძო საკუთრება, კერძო ადამიანი არ ყიდის მას და ასე აღმოჩნდა სახლებს შორის ბოსტანი. ეს მაგალითი მოვიყვანე იმისთვის, რომ ჩვენ გაგვაჩნია ისეთი ფასეულობა, რომლის გაყიდვა მართლა არ შეიძლება, რომლის გასხვისება არ შეიძლება. ეს არის ქართული მიწა, წყალი, წყაროს წყალი, მდინარე, საბადოები. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ რთულ დროს, როცა შეიძლება ეს ფასეულობა, რომლითაც არსებობს ქართველი ადამიანი, მთლიანად დავკარგოთ, დავკარგოთ იმიტომ, რომ სხვებს გააჩნია ბევრი საშუალება, ფული, რათა ეს ყველაფერი იყიდონ. იყიდოს უცხო ხალხმა, უცხო ქვეყნებმა და შეიძლება საქართველო დარჩეს სრულიად ცარიელი, ამიტომ დიდი დაფიქრება გვჭირდება. უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ჩვენს მომავალზე, შთამომავლობაზე. არის შემთხვევები, როცა ხდება არა გაყიდვა, არამედ 50, 90, 100 წლით გასხვისება. მაგალითად ტყის გასხვისება. ტყე რომ განადგურდეს, განადგურდება ხალხიც. 100 წელი რად უნდა ტყის განადგურებას, ერთი კვირაც ეყოფა, რაც ძალიან საშიშია, ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღებით, რუდუნებით უნდა მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს. ღმერთმა ინებოს, გაგვიხსნას გონება და გავიგოთ, რა არის აუცილებელი ჩვენთვის, რა არის ნამდვილი ფასეულობა“, — ბრძანა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას.

„ინტერპრესნიუსი“

ჟოზე მანუელ ბაროზოს ჟან-კლოდ იუნკერი შეცვლის

ევროკავშირის ლიდერებმა ევროკომისიის პრეზიდენტად ჟან-კლოდ იუნკერი წარადგინეს. ამის შესახებ ინფორმაციას ევროსაბჭოს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ევროკავშირის ლიდერებმა გადაწყვეტილება 26-27 ივნისს ევროსაბჭოს სხდომაზე მიიღეს.

„გადაწყვეტილება მიღებულია. ევროკავშირმა ჟან-კლოდ იუნკერი ევროკომისიის მომავალი პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა“, — ამის შესახებ ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ „ტვიტერზე“ დაწერა.

ამასთან, ჟან-კლოდ იუნკერი 1995-2013 წლებში ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი იყო, 1997-2005 წლებში კი ევროსაბჭოს თავმჯდომარეობდა.

ევროსაბჭოს ინფორმაციით, 59 წლის ჟან-კლოდ იუნკერის კანდიდატურას ევროპარლამენტი 16 ივლისს დაამტკიცებს. ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტზე ჟან-კლოდ იუნკერი ჟოზე მანუელ ბაროზოს შეცვლის.

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტმა აშშ-ს კონგრესის დელეგაცია მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში ვიზიტით მყოფი აშშ-ს კონგრესის დელეგაცია მიიღო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, კონგრესმენებმა გიორგი მარგველაშვილს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა მიულოცეს და შემდგომ სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს. მხარეებმა გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრეს და ყურადღება ნატო-ს მისიებში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს.

კონგრესმენების განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები დიდად აფასებს საქართველოს წვლილს საერთაშორისო მისიებში. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს უელსის სამიტის მნიშვნელობა და იმედი გამოთქვეს, რომ ამერიკასა და სხვა ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა სექტემბერში დიდ ბრიტანეთში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე დადებითად აისახება.

დელეგაციის წარმომადგენლებმა საქართველოში დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები და ქვეყნის განვითარებისთვის განხორციელებული რეფორმები დადებითად შეაფასეს. გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრისას, მათ ხაზგასმით აღნიშნეს საქართველო-ამერიკას შორის გაფორმებული ქარტიის ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობა და ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

საუბარი შეეხო რეგიონში შექმნილ ვითარებასაც. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უკრაინაში განვითარებული მოვლენებს დაუთმეს.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის, ასევე ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში თანადგომისთვის ამერიკელ კონგრესმენებსა და სენატორებს მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია და პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში თენგიზ ფხალაძე ესწრებოდნენ, ხოლო აშშ-ს კონგრესის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც სენატორი ბენ კარდინი ხელმძღვანელობს, სენატორი ტომ ჰარკინი და კონგრესმენები — რობერტ ადერჰოლტი, ადამ შიფი, ფილ გინგრი და დევიდ შვაიკერტი იყვნენ.

„ინტერპრესნიუსი“

სერტიფიცირებული პედაგოგები დანამატს ზაფხულშიც მიიღებენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, ბოლო პერიოდში სამინისტროსთან დაკავშირებით მიზანმიმართულად გავრცელდა სხვადასხვა შინაარსის არასწორი ინფორმაცია.

სამინისტროს ცნობით, ელექტრონულად და ანონიმურად საჯარო სკოლებში გავრცელდა დეზინფორმაცია, რომლის თანახმად, თითქოს ზაფხულის არდადეგებზე საჯარო სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგები სასერტიფიკაციო დანამატს არ მიიღებენ. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ყველა სერტიფიცირებული პედაგოგი დანამატს დაუბრკოლებლად მიიღებს.

სამინისტრო განმარტავს, რომ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის შესაბამისად, მასწავლებელს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის № 84/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში უნარჩუნდება ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით გაანგარიშებული შრომის ანაზღაურება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებელს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, უნარჩუნდება თანამდებობრივ სარგოზე კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებული დანამატები.

„მედიანიუსი“

უგულავას მზაკვრული გეგმა, რომელიც „ოცნებას“ დაშოკავს

არჩევნების მეორე ტურის ლეგიტიმურობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს

გიორგი გიორგაძე

თბილისის მერყოფილი გიგი უგულავა დაკითხვაზე ისევ დაიბარეს. როგორც სოციალურ ქსელ Facebook-ზე თავად უგულავამ დაწერა, საგამოძიებო უწყებაში 30 ივნისს ანუ დღეს უნდა გამოცხადდეს, მაგრამ თუ აქამდე პროკურორები არ მიდიოდნენ გიგის სასამართლოზე, ახლა „შატალოზე“ წასვლას ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ტვინი აპირებს.

„...დაკითხვაზე დამიბარეს. ეს არაფერი! ამას უკვე შევეჩვიე (თემაც კი არ ვიცი და დიდად არც მაინტერესებს). საქმე იმაშია, რომ მე საქმიანი მივლინებით მივემგზავრები ბრიტანეთში (ვხვდები ლორდ ჰარისს), უკრაინაში — კიევის მერს ვიტალი კლიჩკოს და მოლდოვაში, სადაც ევროსაბჭოს რეგიონთა კონგრესის მონიტორინგის სხდომაში მივიღებ მონაწილეობის. (მე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ვარ). მოხსენება ეხება 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივ არჩევნებს. საქართველოში ვბრუნდები 5 ივლისს, 05:00 საათზე. ხოდა, ამ ყრძო ღარიბაშვილს და მის მთავარ იხტიოლოგ ივანიშვილს მინდა ვუთხრა: რამდენი მილიარდიც არ უნდა იშოვო და რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოთ, თქვენგან არც სალამური გამოითლება და არც კაცი დადგება.

P.S. და თუ რომელიმე თქვენთაგანს ერთი წამით ჰგონია, რომ მე წავალ და არ დავბრუნდები მაშინ... (იდიომატური გამოთქმებით საზოგადოებას არ გადავტვირთავ). და კიდევ ერთი, რა გაგიჭირდათ ასეთი, რომ საკუთარ მორატორიუმს არღვევთ?! ეხ, ნარმანია, ნარმანია“, — წერს უგულავა სოციალურ ქსელში.

უგულავა მართალია, როცა ამბობს, რომ ქვეყნიდან გაქცევას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, იმ სცენარში, რომელიც თურმე, აეროპორტის გზაზე მუშავდება და რომლის შესახებაც „ვერსიას“ კონფიდენციალური წყარო უყვება, გაქცევა ნამდვილად არ ჯდება. ანდა, რა დროს გაქცევაა, როცა, წყაროს მონაცემებით, ნაციონალები დიდი ალიაქოთისთვის ემზადებიან.

სხვათა შორის, წყარო იმასაც მიანიშნებს, რომ ამჯერად მიშას პოლიტიკურ და-ძმებს ალიაქოთის მოსაწყობად იმაზე მეტი სამართლებრივი ბერკეტი ექნებათ, ვიდრე ხალხს წარმოუდგენია.

მოკლედ, რაშია საქმე? რაშია, ბატონო და — დრომოჭმული „ვარდოსნების“ პროტესტის მიზეზი, არც მეტი, არც ნაკლები, შეიძლება, თბილისის მერის არჩევნების მეორე ტური გახდეს.

„ნაცებს იმის ილუზია ნამდვილად არ აქვთ, რომ ნიკა მელია მეორე ტურში დავით ნარმანიას ბეჭებზე დადებს, მაგრამ ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ: საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, დასავლეთმა და, საერთოდ, ცივილიზებულმა მსოფლიომ არჩევნების მეორე ტურის შედეგები არალეგიტიმურად მიიჩნიოს და ამის ნიშნები უკვე არსებობს. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, უგულავამ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც მიანიშნა, რომ ცესკო მეორე ტურის დანიშვნის ვადებს არღვევს. მართალია, უგულავას ბრალდებას მთავარმა საარჩევნო უწყებამ მაშინვე უპასუხა და განმარტა, რომ მეორე ტური მხოლოდ არჩევნების საბოლოო შედეგის გამოქვეყნების შემდეგ ინიშნება, მაგრამ ახლა ლაპარაკი საპარლამენტო კი არა, ადგილობრივ თვითმმართველობაზეა. საარჩევნო კოდექსი კი, როგორც ვიცი, ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტურს სხვანაირად არეგულირებს“, — ამბობს „ვერსიის“ წყარო.

ამასთან, როგორც „ვერსიას“ კულუარებში უთხრეს, ნაციონალები დაახლოებით იმ გზას აირჩევენ, ათეული წლის წინ, პარლამენტში, ნინო ბურჯანაძის სპიკერად არჩევისას რომ გამოიყენეს ანუ წმინდა „პროცედურულ ომს“ გამართავენ, რაც „ოცნებას“, მინიმუმ, დააბნევს.

„რომ გითხრათ, „ოცნებაში“ არჩევნების დიდი მცოდნეები არიან-მეთქი, მოგატყუებთ. ეს ტექნოლოგიები მხოლოდ რესპუბლიკელებმა იციან — მაგალითად, თინა ხიდაშელი, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, საარჩევნო კოდექსში ისეთ ლაფსუსებს აღმოაჩენს, მთელი საარჩევნო პროცესი, შეიძლება, თავდაყირა დააყენოს, მაგრამ, როგორც ვიცი, ნაციონალების პროვოკაციული გეგმა „ოცნების“ ამ ფრთისთვისაც მისაღებია ანუ მეორე ტურის არალეგიტიმირად გამოცხადების შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალის იმიჯს გაიმყარებს, რაც დასავლეთის მოთხოვნაა. ისე არ გაიგოთ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ნაციონალებს მფარველობენ და „ცოცხების კადრები“ აღარ ახსოვთ, უბრალოდ, ბევრი მცდელობის მიუხედავად, დასავლეთმა საქართველოში ისეთი ძალა ვერ მოძებნა, რომელიც ოპოზიციაში იქნება და თან დასავლური ღირებულებები ექნება. ქვეყნის განვითარებისთვის კი, მით უმეტეს, ამ ეტაპზე, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილია, დასავლური ორიენტაციის ოპოზიცია აუცილებელია“, — ამბობს „ვერსიის“ წყარო.

რა მოხდება, თუ ყველაფერი უგულავას სცენარით წავა და საერთაშორისო ორგანიზაციები მეორე ტურის შედეგებს არალეგიტიმურად მიიჩნევენ? ასეთ შემთხვევაში, თბილისს მერი, მინიმუმ, რამდენიმე თვე აღარ ეყოლება. მაშინ კი, თუ ხელახალი არჩევნები დაინიშნა, „ოცნება“ მერობის კანდიდატად, ცხადია, ნარმანიას აღარ დაასახელებს და შეეცდება, ასპარეზზე ისეთი პერსონა გამოიყვანოს, რომელიც პოლიტიკურ ინტრიგებში გაქექილი იქნება, ამასთან, მჭერმეტყველიც იქნება და ხალხის მონუსხვას შეძლებს.

ამასობაში, როგორც „ვერსიას“ კულუარებში ეუბნებიან, არც ისაა გამორიცხული, ალასანიას ფრთამ, რესპუბლიკელებთან ერთად, ხელისუფლების შეცდომებზე საუბარი ხმამაღლა დაიწყოს.

„გამორიცხული არ არის, დასავლური ოპოზიცია „ოცნების“ წიაღშივე იშვას. მართალია, ბიძინა ივანიშვილი, გარეგნულად, „ოცნების“ მუშაობაში არ ერევა, მაგრამ ვინ, ვინ და, სწორედ მან იცის, რომ, თუ ქვეყანაში დასავლური იდეები მოკვდა და, რბილად რომ ვთქვათ, ნეიტრალიტეტის მხარდამჭერი პოლიტიკური ძალები გააქტიურდნენ, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს „ბანანის რესპუბლიკის“ იმიჯი გარანტირებული ექნება, ამიტომ რადარიდან ნაციონალების გაქრობაზე ლაპარაკი უფრო „სახალხო ტერმინია“, სინამდვილეში კი, პოლიტიკურ კულუარებში დიდი თამაშები მიმდინარეობს“, — ამბობს წყარო.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია, ლაპარაკობენ, დაჭერების ახალი ტალღაა. სხვადასხვა მონაცემით, ბრალი შეიძლება, დავით კეზერაშვილს დაუმძიმდეს, თუმცა ილუზია, რომ ვთქვათ, სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, არ უნდა გვქონდეს ანუ სააკაშვილზე, როგორც უამრავ დანაშაულში ეჭვმიტანილზე ლაპარაკი დაუსრულებლად გაგრძელდება, მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, მიშას გისოსებსმიღმა ნახვა არც ამერიკელებს უნდათ და, მით უმეტეს, არც რუსებს, რადგან სააკაშვილი უმართავია, გამორიცხული არ არის, დაპატიმრების შემთხვევაში, პირი მოაღოს და ისეთი რამეები ილაპარაკოს, რაც თეთრ სახლს კი არა, უფრო კრემლს დააზარალებს.

ასე რომ, არჩევნების მეორე ტური ქართულ პოლიტიკაში შესაძლოა, ახალი ერის დასაწყისად იქცეს.

P.S. 29 ივნისს, საღამოს ცნობილი გახდა, რომ გიგი უგულავა დაკითხვაზე გამოცხადდება.

ლიბერთი ბანკი თავის ყველა მომხმარებელს „ლიბერთი კლუბში“ აწევრიანებს

ლიბერთი ბანკი მომხმარებელს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობს — 2014 წლის 26 ივნისიდან, ბანკის ყველა მომხმარებელი „ლიბერთი კლუბის“ წევრი ხდება. მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, შეასრულოს საბანკო ოპერაციები და დააგროვოს ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის ქულები, რომელთა საშუალებითაც დაფარავს კომუნალური და სხვა ტიპის გადასახადებს, შეავსებს მობილურ ტელეფონზე სასაუბრო დროს ან მიიღებს ფულს ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ბარათზე და eMoney ელექტრონულ მულტისავალუტო ანგარიშზე, რომელსაც 1,7 მილიონზე მეტი მომხმარებელი იყენებს.

„ლიბერთი კლუბში“ გაწევრიანებულია ლიბერთი ბანკის 1,5 მილიონზე მეტი მომხმარებელი. მომხმარებელს ქულა უგროვდება საბანკო ოპერაციების განხორციელების შემდეგ. მაგალითად: თუ მომხმარებელი გადაიხდის ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ბარათით Cheap.ge ფასდაკლების პროგრამაში ჩართულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში, მას დაუგროვდება 50 ქულა; თუ მისთვის სასურველ ნივთს შეიძენს ლიბერთი ბანკის განვადების გამოყენებით, მომხმარებელი მიიღებს 15 ქულას. ქულები ასევე გროვდება თანხის გაგზავნის, სესხის აღების, ინტერნეტ და მობაილ ბანკინგის გამოყენების დროსაც. ოპერაციების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე www.LBClub.ge

„ლიბერთი კლუბის“ მიზანია, გაზარდოს მომხმარებელთა ლოიალობა და უზრუნველყოს მათი ინფორმირება ლიბერთი ბანკის სხვადასხვა ინოვაციური და მოსახერხებელი მომსახურების შესახებ. ბანკი „ლიბერთი კლუბის“ ფარგლებში არაერთ წამახალისებელ აქციას გეგმავს, რომელთა შესახებ ინფორმაციას მომხმარებელი ახლო მომავალში შეიტყობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ გამართულ თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციის დახურვას დაესწრო. კონფერენცია პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლით დახურა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და ლიტვის მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში კესტუტის ჯანკაუსკა.

თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია ბათუმში 27-28 ივნისს მეცხრედ გაიმართა. კონფერენციის მიზანია თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება. საქართველოს თავდაცვის კონფერენცია ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების პოლიტიკის ფორუმად, რომელიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს მიმდინარე და სამომავლო გამოწვევებს და მათი დაძლევის გზებს მიმოიხილავს, როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო კუთხით.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ირინა სარიშვილი პოლიტიკური პარტიების ფარული გარიგების სკანდალურ დეტალებს ასაჯაროებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

არჩევნების მეორე ტური არაფერს შეცვლის, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთის რეიტინგის შენარჩუნებაზე მუშაობენ, ნაციონალების პოლიტიკურ კუბოში ჩასარჭობი უკანასკნელი ლურსმანი ნიკა მელია სულაც არ არის, სამაგიეროდ, „მერი“ ნარმანიაა „დედიკოს ბუშტი“, 2016 წლისთვის ოცნება-ნაციონალები ერთ პოლიტიკურ ძალად მოგვევლინებიან, მეოთხე და მეხუთე ადგილზე გასული ოპოზიციური პარტიები, გაერთიანების შემთხვევაში, მეორე ადგილს დაიკავებენ, შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები არ იქნება — ეს ირინა სარიშვილის შეფასებებია, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას სხვა სკანდალურ პროგნოზსაც აკეთებს.

„რამდენიმე ადამიანი დამიკავშირდა „ოცნების“ საარჩევნო შტაბიდან და მიმანიშნა, ეგებ, გაჩუმდეთო“

— საარჩევნო პასიურობის შეფასებას ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარით დავიწყებ — ე.ი. ხალხი გვენდობაო. რაც უნდა პარადოქსული იყოს, ამ ნათქვამში სიმართლის მარცვალი ერთ შემთხვევაშია — თუ იმას გულისხმობენ, რომ სახლში დარჩენილებმა იციან, „ოცნება“ რეიტინგს მაინც ისე დაალაგებს, როგორც თავად სურს. ხალხის დიდი ნაწილი არჩევნებზე იმიტომ არ გავიდა, თავი მძიმე მდგომარეობაში აღარ ჩაიყენა. საზოგადოების რაღაც ნაწილი მიხვდა, „ოცნების“ წარმატება ნაციონალების წარმატებას ნიშნავს. არჩევნების წინ, შეგნებულად, არანაირი მოწოდება არ გამიკეთებია და არც ის მითქვამს, რას ვაპირებდი. დღეს ხმამაღლა ვაცხადებ, რომ არც პირველ ტურში მიმიღია მონაწილეობა, არც მეორე ტურში ვაპირებ და ეს სწორედაც, ჩემი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიციაა: ჯერ ერთი, მნიშვნელობა არ აქვს, მიხვალ თუ არა არჩევნებზე და მეორე, ნაცები და „მეოცნებეები“ მაინც გარიგებულები არიან და საქმე მხოლოდ მათი გარიგების სხვადასხვა ვარიანტშია.

— რა ვარიანტებს გულისხმობთ?

— ერთი ის, რომ მერი ხდება ნარმანია, მაგრამ მას პროცენტით ძალიან უახლოვდება მელია. „ოცნების“ რეიტინგის სწრაფ ვარდნას მხოლოდ ნაციონალების მაღალი რეიტინგი შეაჩერებს. ერთადერთი, რამაც „ოცნება“ ხელისუფლებაში შეიძლება დატოვოს, ნაციონალების მიმართ დაუძლეველი სიძულვილია, ამიტომ რაც უფრო მყარი, მაგრამ არა სახელისუფლო რეიტინგი ექნებათ ნაციონალებს, „ოცნება“ თავს მით უფრო მშვიდად იგრძნობს.

— ნაციონალების რეიტინგი და დაუსჯელობაც ისედაც „ოცნებას“ ბრალდება და ამით რეიტინგს თავად არ კარგავს?

— რეალურად, ნაციონალების მაღალ რეიტინგს ხალხი „ოცნებას“ აბრალებს, „ოცნება“ — ხალხს და მოგებულები ისევ ნაციონალები არიან. ყოვლად უაზროა ისტერიკა, რომ ნაციონალების პოლიტიკურ კუბოში ჩასარჭობ უკანასკნელ ლურსმნად ნიკა მელიაღა დაგვრჩა და, თუ მასაც მოვიშორებთ, ნაციონალები აღარ იარსებებენ. არ ვიცი, რამდენად იდიოტად და ზომბირებულად უნდა მიგვიჩნევდეს ეს ხელისუფლება, რომ უნდა, მსგავსი რამ დაგვაჯეროს. იმ ხალხის მესმის, ვინც საკუთარ თავს გადააბიჯებს, მეორე ტურში მივა, ერთი ხელით მეორე ხელს დაიჭერს და თავს აიძულებს, ნარმანია შემოხაზოს. აი, მე რომ ხელი მომაჭრან, ჩემი მოჭრილი ხელიც კი არ შემოხაზავს ამ კაცს. უკვე დავიღალეთ ცუდსა და უარესს შორის არჩევით და თან, ჩემთვის ორივე კანდიდატი ერთმანეთზე უარესია. არ ვიცი, „ოცნებამ“ მეორე ტურზე საერთოდ თუ იფიქრა, მაგრამ, თუ ასე იყო გათვლილი, მაშინ ცუდ დასკვნამდე მივდივართ. ტრადიციულად, ივლისის ბოლოს ქალაქი დაცლილია. „ოცნების“ მხარდამჭერები ამ დროს ზღვაზე იქნებიან, ნაციონალების კონცენტრირებულ და მოტივირებულ მხარდამჭერებს კი კაციც არ დააკლდება.

— მაშინ ის ვარიანტიც უნდა დავუშვათ, რომ მელია მერი გახდება. რა ხდება ამის მერე?

— მცირე, მაგრამ ამის შანსი მაინც არსებობს. შესაძლოა, „ოცნებამ“ ასე არც გარისკოს, თუმცა ბერძენიშვილების, ხიდაშელებისა და უსუფაშვილების მონდომებით, ევროპას ხომ დემოკრატიის კლასიდან კლასში გადავყავართ და უცებ, მეორე კლასიდან მეშვიდეში გადავხტით, რადგან არჩევნების მეორე ტური დავნიშნეთ. თუ გვინდა, სკოლა გამოსაშვები გამოცდების გარეშე დაგვახურინონ, მაშინ მერი მელია უნდა გახდეს. აღარაფერს ვამბობ ჩვენს ხარბ, თავმოუბმელ და ერთმანეთთან შეურიგებელ ოპოზიციაზე, რომელმაც კიდევ ერთხელ ვერ მოახერხა საერთო კანდიდატზე შეთანხმება. მაშინ არც ეს ვითარება იქნებოდა და „ოცნება“ მეორე ტურში ოპოზიციასთან წააგებდა, ამიტომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ძალიან საინტერესო ვითარება იქნება — „ოცნება“ და ნაციონალები ერთ გუნდად შეიკვრებიან, ნებისმიერ სხვა სახელს, თუნდაც „ხათუნას“ დაირქმევენ და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას უკვე ფორმალურადაც ერთად მიიღებენ. ნაციონალების მიერ დაკავებული ოპოზიციის ნიშა კი გამოთავისუფლდება. ასე რომ, იგივე წრეში რომ არ დავტრიალდეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ დაიკავებს მეორე ადგილსა თუ ამ ოპოზიციურ ნიშას.

— ლოგიკურად, მესამე ძალამ უნდა აინაცვლოს ზევით და ეს ადგილი ბურჯანაძემ დაიკავოს. ეს იგივე წრეში ტრიალი არ იქნება?

— აქ უკვე დიდი მნიშვნელობა მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გასულ პარტიებს აქვს. აქვე, ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით: სოციალურ ქსელებში ჩემს აქტიურობას, თბილისის მერის არჩევნებთან დაკავშირებით, 50 000-მდე დადებითი შეფასება მოჰყვა. ჩემი მოსაზრებები ყველა სააგენტომ და უამრავმა საიტმა აიტაცა. ამის შემდეგ რამდენიმე ადამიანი დამიკავშირდა „ოცნების“ საარჩევნო შტაბიდან და მიმანიშნა, საზოგადოებაზე გავლენა გაქვთ და დიდი თხოვნა გვექნება, ეგებ, ამ წინასაარჩევნოდ გაჩუმდეთ და მსგავსი განცხადებისგან თავი შეიკავოთო. ვუპასუხე, თუ ასეთი გავლენიანი ვარ, აზრი მაშინ გეკითხათ, მერობის კანდიდატად ნარმანიას რომ ასახელებდით-მეთქი. ხალხი მართლა ნერვიულობს, წვალობს და საკუთარი ღირსების ფასად, ოღონდ მერი მელია არ გახდეს, ხმას ნარმანიას აძლევს. ყველაზე საწყენი ისაა, რომ თბილისს აბსოლუტურად უთავმოყვარეო, „დედიკოს ბუშტი“ მერი ეყოლება!

— მეორე ტური რა შედეგითაც უნდა დასრულდეს, „ოპოზიციური შემოდგომა“ უკვე გაწერილ-დაანონსებულია. ნინო ბურჯანაძის ალიანსის განცხადებით, ხელისუფლება არჩევნებით აღარ უნდა შეიცვალოს და აქციებს იწყებს. ეს ზოგად ვითარებას შეცვლის?

— ჯერ ერთი, იმ ხალხს, ვინც სახლში დარჩა, არც ნინო ბურჯანაძე უნდოდა. ეს სეგმენტი არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, განსაკუთრებით არჩევნებში მონაწილემ, არ უნდა დაისაკუთროს. ნაციონალებსა და ხელისუფლებასთან ერთად, პასუხისმგებლობა დაქსაქსულმა ოპოზიციამაც უნდა გაინაწილოს. ამ მოცემულობით, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების კამპანიის შემოდგომით დაწყებას აზრი არ აქვს. ვიდრე ორი მთავარი ძალა, ფორმალურად, ცალ-ცალკე სუბიექტად რჩება, ერთი ხელისუფლებად ითვლება და მეორე ოპოზიციად, მესამე ადგილზე გასული კი 10%-იანი შედეგით კმაყოფილდება, რიგგარეშე არჩევნები ვერაფერს შეცვლის. არასაპარლამენტო ოპოზიციამ თბილისშიც კი ვერ მოახერხა ერთიან კანდიდატზე შეჯერება, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ შემოდგომაზე, თუ რომელიმე ძალა ქუჩაში გამოვა, ისევე მარტო დარჩება, როგორც ბურჯანაძე 26 მაისს. ქუჩის აქტიურობა, მაქსიმუმ, პოლიტიკური ფიგურების გადალაგებას დააჩქარებს და რეალურად, ბრძოლა ერთი მიზნისთვის გაიმართება — ვინ გავა მეორე ადგილზე. აქ უკვე თამაშში შემოდის დებიუტანტი პარტია, პატრიორტთა ალიანსი და მისი პოზიცია იქნება საინტერესო.

— ამ მოჯადოებული წრის გარღვევა ბოლო დროს გააქტიურებულ ჩოხიან, მრავალშვილიან, ფულიან ლევან ვასაძესაც არ შეუძლია?

— ლევან ვასაძის განცხადებებით თუ ვიმსჯელებ, დინების საწინააღმდეგო ასეთი მოსაზრებების საჯაროდ თქმა მომავალი პოლიტიკური კარიერისთვის ძალიან ცუდია. ვასაძე უგნური ადამიანი არ არის და არ მგონია, თუ პოლიტიკაში მოსვლა უნდა, ასეთი განცხადებები აკეთოს. გარდა ამისა, ვერ ვიგებ ხალხის დამოკიდებულებას — ადამიანი ცუდს არაფერს აკეთებს, ჩოხაც კარგია და მრავალშვილიანობაც, მაგრამ ამის მიღმა მაინც რაღაც ცუდს ვეძებთ და ეჭვი გვღრღნის. ეჭვის თვალით უყურებენ ვასაძესაც.

— იმიტომ, რომ ე.წ. პრორუსია და მისი გააქტიურება საეჭვო ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის, უელსის სამიტისა და ევრაზიული კავშირის შექმნის ფონზეა...

— თუ ეგრეა, ე.წ. პრორუსი მეც ვარ, მაგრამ ვარ?! ეს არის დაავადება, რაც ჩვენს საზოგადოებას სჭირს. მანიაკური ეჭვები გვაქვს იმის მიმართ, ვისაც ჯერ არ მოუტყუებივართ, ხოლო მანიაკური ნდობა მაგალითად, „ოცნების“ მიმართ, რომელმაც ერთხელ უკვე კარგად ჩაგვთხლიშა თავში და მოგვატყუა. სად არის აქ ლოგიკა?!

რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულებას — გიორგი მარგველაშვილის ადგილას, დელეგაციაში არჩასმა არც მეწყინებოდა. ჩვენი მთავრობის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე წასვლა საბავშვო ბაღის ბავშვების დისნეი-ლენდში წაყვანას ემსგავსება. ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რადგან პრემიერის ხელისმოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, იმდენი ხალხი გაყვა. ჩემთვის უკვე შემზარავია — ეს დიდი ხამობა, უნახაობა და ძალიან დიდი ქაჯობაა. ასეთი ამბავი რატომ უნდა აეტეხათ ზრდასრულ ადამიანებს თემაზე — ვინ წავა და ვის წაიყვანს?! არ მგონია, მარგველაშვილი იქ ნამყოფი არ იყოს, ამიტომ ამათთან ერთად წასვლას, მართლა სჯობს, მერე ცალკე წავიდეს დასასვენებლად. ამ კაცს ნელ-ნელა ისე აცლიან ფუნქციებს, როგორც ნაძვისხეს სათამაშოებს ნათლისღებამდე.

— ეს „ნათლისღება“ საპრეზიდენტო არჩევნებია?

— ანდაც — საპარლამენტო... ვფიქრობ, ვინც სექტემბერში ქუჩის აქციებს აპირებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, მისი რეალური მიზანი ეს არ არის. ნამდვილი მიზანია, ამ ორპარტიულ სპექტრში მეორე ძირითადი ადგილი დაიკავოს და ეს ლოზუნგი მომავალი კი არა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის გამოიყენოს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რაიმე საშიშროებას დავინახავ, რომ ამ ქაოტურ აქციებს ერთი კაცი მაინც შეიძლება ემსხვერპლოს, აუცილებლად ყველა საშუალებას გამოვიყენებ ხალხის გასაფრთხილებლად — არცერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ინტერესს არ უნდა ემსახუროს და, თუ ვინმეს რაიმეს გათამაშება უნდა, ეს დაბნეული და მშიერი ადამიანის კი არა, საკუთარი სისხლით გააკეთოს.

ვერსიანიუსი

თეა წულუკიანი: „ყველა ძალას გამოვიყენებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ ვიაროთ!“

„ყველაგერს ვიღონებ, როგორც იუსტიციის მინისტრი, რომ მოლდოვას ბედი გავიზიაროთ“, – აცხადებს თეა წულუკიანი. მისივე თქმით, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ძალიან დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. ამ თვეში იუსტიციის სამინისტროში შეიქმნება ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი, რომელიც იმუშავებს ჩვენი კანონმდებლობის გარდაქმნაზე. რათა ეს კანონმდებლობა იყოს მთლიანად თავსებადი ევროკავშირის სტანდარტებთან.

„როდესაც გავხსნით საზღვრებს ევროკავშირის ქვეყნებთან, ჩვენ ახალგაზრდებს შეეძლებათ უვიზოდ წავიდნენ, დაისვენონ ან ისწავლონ ევროპაში. ჩვენს ბიზნესმენებს შეეძლებათ უპრობლემოდ გაიტანონ ბიზნესი, ეს რომ მოხდეს, საჭიროა ისეთივე საკანონმდებლო ბაზა, როგორიცაა ევროპაში, ამას კი სჭირდება მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 18 თვის მანძილზე ტიტანური შრომა გავწიეთ“, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, საქართველომ ყველა ძალა უნდა გამოიყენოს, რომ გაისად ვიზალიბერალიზაციის კუთხით, მოლდოვას ბედი გაიზიაროს,

„პირველი, რაც რეალისტურია, ახალგაზრდების მაგივრად მიხარია, არის შემდეგი — ვიზალიბერალიზაცია მოხდეს. გვაქვს მოლოდინი და ყველა ღონეს ვიხმარ, როგორც იუსტიციის მინისტრი, ეს მოხდეს გაისად. მოლდოვას შეუძლია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მგზავრობა, ეს ახალგაზრდებისთვისაა მნიშვნელოვანი, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, რიგში დგომა მიწევდა, რომ ევროპაში ცხვირი შემეყო. ჩვენ ვიშრომებთ, რათა სექტემბერში ვიზალიბერალიზაციის ფაზა, რომელიც წარმატებით დავხურეთ, ევროკავშირის სტრუქტურებმა დაამტკიცონ. გაიხსნება მეორე ფაზა, რომელიც სხვა რეფორმებს გულისხმობს. ყველაფერს ვიღონებთ, რომ გაისად ეს ფაზაც დაიხუროს, გავხდეთ მოლდოვას თანასწორი და უვიზოდ ვიაროთ ევროკავშირის ქვეყნებში“.

„ინტერპრესნიუსი“

დავით ზურაბიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა 2016 წლამდე გარკვეულ გავლენებს შეინარჩუნებს!“

რა ცვლილებები იგეგმება „ოცნებაში“

ეროსუდან შელია
557-100-768

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილია და ამ ისტორიული პროცესის ფონზე, ქვეყანას მორიგი გამოწვევა — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური ელის. 15 ივნისის შემდეგ მმართველი გუნდი საზოგადოებისგან მიღებულ გამაფრთხილებელ სიგნალზე ღიად საუბრობს. მოუწევთ თუ არა კოალიციის ლიდერებს მეტი „აღიარებითი ჩვენების მიცემა“, მეორე ტურის შემდეგ გამოჩნდება. რა ცვლილებებისთვის ემზადება „ქართული ოცნება“ — ამის შესახებ „ვერსიას“ უკვე საკრებულოს წევრი, საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი ესაუბრა.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა. უმთავრესი კი ისაა, რომ ხელისუფლებამ არჩევნებში გასამარჯვებლად სახელმწიფო სტრუქტურები არ გამოიყენა: არც პოლიციელებს დააძალა კოალიციის კანდიდატის სასარგებლოდ ხმის მიცემა და არც პედაგოგებს. მართალია, შავი პიარი აქტიურად მუშაობდა, მაგრამ ოპონენტებს იმდენად სუსტი არგუმენტები ჰქონდათ, შედეგი არ გამოიღო.

— ბატონო დავით, შავ პიარად ე.წ. პრემიების თემას ხომ არ მიიჩნევთ, რომელმაც წინასაარჩევნოდ ხელისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაამძაფრა?

— გეთანხმებით, პრემიების ფაქტმა მოსახლეობაში საკმაოდ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. წინასაარჩევნოდ, როცა ამომრჩეველს ვხვდებოდი, ჩვენი საუბარი პრემიების თემით იწყებოდა. ადამიანები მახსენებდნენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პრემიები აიღეთ, „სკამებზეც“ კომფორტულად მოკალათდით, ნაციონალებიც კარგად შემოინახეთ და ხალხი ფეხებზე დაგვიკიდეთო! მოსახლეობისგან ძალიან შორს უნდა იყო და მისი რეაქციაც აბსოლუტურად არ უნდა განაღვლებდეს, რომ ამხელა პრემია გამოიწერო... სხვა მხრივ, არჩევნებმა საქართველოს მასშტაბით, ნორმალურად ჩაიარა. მართალია, დარღვევების კონკრეტული შემთხვევები დაფიქსირდა, მაგრამ ყველა ხარვეზის პრევენცია შეუძლებელია. მთავარია, ცესკო-ს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ მედიის რეაგირება ადეკვატური იყო. კარგი მაგალითი ვიხილეთ თელავში, სადაც „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატს გამარჯვებამდე სულ რაღაც 25 ხმა დააკლდა, მაგრამ ამ მაჩვენებლის გაყალბება არავის უფიქრია. წინა ხელისუფლების დროს, ეს 25 ხმა ისე დაემატებოდა, ვერავინ შეიტყობდა. არ დაგვავიწყდეს, ჩვენ იგივე საზოგადოება ვართ, როგორიც სამი წლის წინ, ამიტომ დამოკიდებულების ერთბაშად გარდატეხა შეუძლებელია. გარკვეული დრო და უნარ-ჩვევების გამომუშავება სჭირდება, არჩევნები რეალურად არჩევნებს ჰგავდეს.

არჩევნებზე დაფიქსირებული დაბალი აქტივობა ხელისუფლებისთვის, რა თქმა უნდა, გამაფრთხილებელი სიგნალია, თუმცა, როგორც გითხარით, მოსახლეობის უკმაყოფილება წინასაარჩევნოდ შეხვედრებზეც იგრძნობოდა. ადამიანებს სოციალური პრობლემები, უმუშევრობა და ე.წ. სამართლიანობის აღდგენისა თუ დამკვიდრების მიმართულებით პრეტენზიები აქვთ. ამ თემაზე რამდენიც უნდა იშაყირონ, ნაციონალურმა მოძრაობამ სერიოზული რეჟიმი შექმნა, რომელიც მოსახლეობას უმრავლესობას ტვირთად აწვა.

საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულების შემდეგ, გაჩნდა განცდა, რომ ეს რეჟიმი დავამარცხეთ, მაგრამ დღეს ხალხი არ ფიქრობს, რომ გაიმარჯვა — უმუშევარია, როგორც ადრე, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს კი, რომლებიც პარლამენტში არიან და დღეს „ქართულ ოცნებას“ აქეთ აგინებენ, ყოველ საღამოს ტელევიზიით უყურებენ.

— ყოველივე ზემოთქმული იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ 2016 წელს კოალიციას საპარლამენტო არჩევნების მოგება გაუჭირდება?

— კოალიცია მომავალ არჩევნებშიც დამაჯერებლად გაიმარჯვებს. „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა არ ყოფილა, მაგრამ, თუ დამნაშავე დროზე არ დაისაჯა, არც იმ ადამიანებს მოვიკითხავთ, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში არაერთ უკანონობას სჩადიოდნენ და თანამდებობებს დღემდე ინარჩუნებენ, საბოლოოდ, პროცესი ცუდად შემოგვიბრუნდება. პირადად მე, ეს კარგად მესმის, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც: როგორც ადრე მთავარსარდლები ჯარისკაცებს დაპყრობილ ქალაქებში სამი დღით დასარბევად უშვებდნენ, ჩვენც შეგვეძლო, ნაციონალური მოძრაობის დარბევის დღეები გამოგვეცხადებინა, მაგრამ ეს ქვეყანას კარგს რას მოუტანდა? არ შეიძლება, სახელმწიფომ უკანონობასა და არალეგიტიმურ, ძალადობრივ პროცესებს ხელი შეუწყოს. სასამართლო ნერვებს ხშირად გვიშლის — იქ ისევ ის მოსამართლეები არიან, რომლებმაც წარმოუდგენელი განაჩენები გამოიტანეს, თუმცა უარესი იქნება, მოსამართლეებს დავერიოთ... ამიტომ აუცილებელია ლეგიტიმური გზების პოვნა, რაც გარკვეულ დროსა და მუშაობას მოითხოვს.

— წელიწადნახევრის განმავლობაში ლეგიტიმური გზები რომ ვერ იპოვეთ, ეს არაპროფესიონალიზმის ბრალია თუ კიდევ სხვა მიზეზი არსებობს?

— საამისოდ ობიექტური და სუბიექტური მიზეზები არსებობს. საზოგადოება მიჩვეულია, ყოფილი სახელისუფლო პარტიები ასპარეზიდან რომ ქრებიან, ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში კი ასე არ მოხდა, თუმცა, თუ ნაციონალებმა ასე გააგრძელეს, მაინც გაქრებიან. სხვანაირად შეუძლებელია.

— ბატონო დავით, რომელ გაქრობაზე საუბრობთ, როცა კოალიციის კანდიდატმა პირველ ტურში ნაციონალური მოძრაობის ფავორიტი ვერ დაამარცხა...

— თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს საპრეზიდენტოს შევადარებთ, ნიკა მელიამ დავით ბაქრაძეზე ნაკლები ხმა მიიღო. კერძოდ, წინა არჩევნებთან შედარებით, თბილისში ნაციონალურის მოძრაობის კანდიდატმა 10 ათასი ხმით, საქართველოს მასშტაბით კი, დაახლოებით, 50 ათასზე ხმით ნაკლები მიიღო.

— იმას რატომ აღარ ამბობთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, ადგილობრივზე „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი ამომრჩევლის ხმა დაკარგა?

— ადგილობრივ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რაც კოალიციას აკლდება, ნაციონალურ მოძრაობას არ ემატება. არ არსებობს საზოგადოებაში ფენა, რომლის ხარჯზეც ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის ზრდა შესაძლებელია. არ ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობა ხვალვე გაქრება. პირიქით, 2016 წლამდე ეს პარტია გარკვეულ გავლენებს შეინარჩუნებს, მაგრამ საზოგადოებაში მისი აქტუალობა მმართველი გუნდის მუშაობაზეა დამოკიდებული — ხალხი უნდა მიხვდეს, რომ ვითარება მათთვის სასიკეთოდ შეიცვალა. თუ საზოგადოებამ ცვლილება ვერ დაინახა და ჩათვალა, რომ „ქართული ოცნებაც“ ნაციონალური მოძრაობის მსგავსია, ბუნებრივია, საპარლამენტო ოპოზიცია თანამოაზრეების შენარჩუნებას მოახერხებს. საერთოდ, ქვეყნის მთავარი პრობლემა ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი კი არა, ისაა, რომ ქალაქებში, რაიონებსა და თვითმართველობის დონეზე ბევრია გასაკეთებელი. თბილისის პრობლემებში, ყოფით დონეზე, ასე დეტალურად პირველად ჩავიხედე და გაოცებული ვარ — უამრავი რამაა გაფუჭებული. კი ბატონო, ნაციონალებმა რაღაცები გააკეთეს, მათ შორის სკვერები და საბავშვო მოედნები, მაგრამ მერწმუნეთ, ასჯერ მეტი მავნებლურადაა გაფუჭებული.

— უკაცრავად, ბატონო დავით და, ხელისუფლება მუდმივად ნაციონალურ მოძრაობაზე რატომ საუბრობს?

— ეს დამოკიდებულება აუცილებლად შესაცვლელია, რადგან, თუ საუბარს შედეგი არ მოყვება, ლაპარაკის დაწყებაც არ ღირს. ნაციონალურ მოძრაობასთან გადამწყვეტ ბრძოლაზე საუბარი ნაციონალების როლს უფრო მნიშვნელოვანს ხდის, ვიდრე რეალურად აქვთ. წარმატებისმომტანი ვერც მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებული პროექტების გაგრძელება იქნება, რადგან რაღაც სიახლეა საჭირო. ფაქტია, სოფლის მეურნეობისა თუ ჯანდაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რომელიც შედეგს გარკვეული პერიოდის შემდეგ მოგვცემს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თუ ყველაფერ ამას ფონად ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლა გაყვა, ხალხი ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებსაც ვეღარ შეამჩნევს და მთელ ყურადღებას პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებაზე გადაიტანს. ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობასთან უკანასკნელი ბრძოლის ფონის შექმნა პრინციპულად არასწორია.

— არჩევნების შემდეგ „ოცნებაში“ საკადრო ცვლილებები იგეგმება?

— შეუცვლელი არავინაა, არჩევნებმაც გამოაჩინა, რომ გარკვეული ცვლილებები აუცილებელია. ამ შემთხვევაში, კონკრეტულ პიროვნებებს არ ვგულისხმობ, მაგრამ ამ მიმართულებით პოლიტსაბჭომ უნდა იმსჯელოს. ჩვენდამი ხალხის ნდობა ჯერ კიდევ მაღალია და ალტერნატიული პოლიტიკური ძალაც არ ჩანს, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის შემდეგ გამოვლენილი სიმპტომები უყურადღებოდ არ უნდა დავტოვეთ და არც ის უნდა ვთქვათ, რომ ყველაფერი იდეალურადაა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოსთვის ძვირფასია და ყველაზე ახლოსაა ევროპული ღირებულებები!“

„ხელი მოვაწერეთ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას და ეს განსაკუთრებით ემოციური და ამაღელვებელია ყველა ქართველისთვის“, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბათუმში, საზეიმო მიღებაზე შეკრებილ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხელშეკრულების ხელმოწერის ისტორიულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ქართველ ხალხს ხელისუფლების მიმართ გამოხატული ნდობისა და სიმტკიცისთვის მადლობა გადაუხადა:

„ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საბოლოო დეკლარირებაა იმისა, რომ საქართველოსთვის ძვირფასია და ყველაზე ახლოსაა ევროპული ღირებულებები. ჩვენი ხალხისთვის ევროპასთან ინტეგრაცია ნიშნავს სტაბილურ, დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ყველა თანასწორია კანონის წინაშე. დღეს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესი შეუქცევადი გახდა და მას უფრო განამტკიცებს ასოცირების ხელშეკრულება“.

ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირის ბაზრის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს პასუხისმგებლობას, რომელიც რეფორმების განხორციელების კუთხით ეკისრება.

საქართველოს მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება და ქართველი ხალხი, დასავლელი მეგობრებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით, ღირსეულად გაართმევენ თავს ამ გამოწვევას:

„მჯერა, ერთად გავაღრმავებთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს, რაც სარგებელს მოუტანს ორივე მხარესა და ჩვენს რეგიონს. კიდევ ერთხელ, ვულოცავ ჩემს ხალხს ამ დიდ გამარჯვებას! მჯერა ჩემი სამშობლოს ევროპული მომავლის!“

„ინტერპრესნიუსი“

სამართალდამცავებმა განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ორი პირი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა 1994 წელს დაბადებული პაპუნა გ. განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, ხოლო 1990 წელს დაბადებული თეიმურაზ ა. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ პაპუნა გ-მ სოფელ კიკეთში, გვიან ღამით, ურთიერთშელაპარაკებისას, 1990 წელს დაბადებულ ნიკოლოზ ნ-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სტაციონარში გადაიყვანა. მისი ჯანრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა. პაპუნა გ. თანმხლებ თეიმურაზ ა-სთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თეიმურაზ ა. მომხდარიდან მეორე დღეს, თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე დააკავეს, ხოლო პაპუნა გ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა.

გამოძიება პაპუნა გ-ს მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლით), ხოლო თეიმურაზ ა-ს მიმართ დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 376-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

რას ითხოვს ასოცირების ხელშეკრულება ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეებისგან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

27 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის, ასე ვთქვათ, შექმნასაც ეხება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის ხელშემწყობი საკითხები ასოცირების შეთანხმებაშიცაა მოცემული, თუმცა ეს პროცესი უფრო ინტენსიურად ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ვითარდება, რასაც საქართველო ინტენსიურად ახორციელებს. გეგმის პირველი ფაზა თითქმის დასრულდა და მალე მეორე ფაზა დაიწყება (ზოგიერთ შემთხვევაში, უკვე დაწყებულია), რაც ნიშნავს, რომ პირველი ფაზის განმავლობაში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კანონების იმპლემენტაცია მოხდება. ამის შემდეგ ევროკავშირი საქართველოსთვისაც გახსნის უვიზო რეჟიმს, რაც, სხვა სფეროებთან ერთად, ბიზნესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა არ ნიშნავს, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდა, მაგრამ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია ევროპული ოჯახის წევრობისთვის. მაინც, რა ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს ასოცირების ხელშეკრულება და კონკრეტულად, რა რეგულაციები უნდა დანერგონ ადგილობრივმა თუ უცხოელმა მეწარმეებმა? — „ვერსია“ ევრპოულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მთავარი მრჩეველ ეკა სეფაშვილს ესაუბრა.

სტანდარტები და რეგულაციები, რომელთა დაცვითაც ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე მოხვდება

— ქალბატონო ეკა, ასოცირების ხელშეკრულებას, ეკონომიკური კუთხით, რა მნიშვნელობა აქვს?

— ეკონომიკური კუთხით ამ შეთანხმების მნიშვნელობა, მართლაც, განუზომელია. საქართველო პატარა ქვეყანაა და შეზღუდული რესურსი აქვს, რაც ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ხელისშემშლელია. ასოცირების შეთანხმება კი საშუალებას გვაძლევს, ქართულ ან, თუნდაც, იმ ბიზნესს, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს, ეს შეზღუდვები მოეხსნას. კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულებით, რომლის განუყოფელი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაა, მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე შეუზღუდავი წვდომის საშუალება გვეძლევა. ევროკავშირის ქვეყნებში, დაახლოებით, 500 000 000 ადამიანი ცხოვრობს, რომელთა მსყიდველობითუნარიანობა ყველაზე მაღალია. პროდუქცია, რომელსაც ეწერება — „წარმოებულია საქართველოში“ — ამ ბაზარზე გასვლას თავისუფლად შეძლებს. ასოცირების ხელშეკრულების საშუალებით, ევროპის ბაზრებზე იმ ინვესტორების წარმოებული პროდუქციაც მოხვდება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში თანხის დაბანდებასა და ბიზნესაქტივობის წამოწყებას მოისურვებენ. ასოცირების ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, გარკვეულ რეგულაციებსაც გულისხმობს და ისიც მკაცრადაა რეგულირებული, რა შემთხვევაში უნდა დაეწეროს პროდუქციას, რომ საქართველოშია წარმოებული. ასოცირების ხელშეკრულება საქართველოში დამზადებულ პროდუქციას არ ზღუდავს, რომ მხოლოდ ევროპის ბაზარზე შევიდეს, პირიქით, ის თავისუფლად შევა მსოფლიოს ნებისმიერ ბაზარზე, რადგან ევროკავშირის სტანდარტები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და, თუ ქართული პროდუქცია ამ სტანდარტებს აკმაყოფილებს, არც ერთ ბაზარზე პრობლემა არ ექნება.

— ევროკავშირი ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეებისგან კონკრეტულად მაინც რას ითხოვს?

— საქართველოში დამზადებული საკვები უვნებელი პროდუქცია კი უსაფრთხო უნდა იყოს — ასოცირების ხელშეკრულებაში მთავარი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რაც ნიშნავს, რომ ბაზარზე გატანილი საქონელი უსაფრთხო და უვნებელი უნდა იყოს. ეს ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ტვირთი იქნება, რადგან ასეთი რეგულაცია დანახარჯსაც გულისხმობს, მაგრამ მეორე მხრივ, საქონელი კონკურენტუნარიანი გახდება და მაღალ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას გაზრდის. ყველაფერი ეს ძალიან ბევრ სიკეთესთანაა დაკავშირებული, თუნდაც იმასთან, რომ ქვეყნის შემოსავლები მოიმატებს, სოციალური უსაფრთხოების ფონი გაიზრდება, სოციალური უთანასწორობა კი შემცირდება. ასოცირების ხელშეკრულებას ბევრი სხვა სიკეთეც მოჰყვება, რაც მხოლოდ ბიზნესს არ უკავშირდება. ვგულისხმობ, ცხოვრების მაღალ დონეს, უსაფრთხოებას, სტაბილურობას, უკეთესი მომავლის რწმენას, უკეთეს განათლებას, ჯანმრთელობას, მოქალაქეებისა და მომხმარებლების უფლებების უკეთესად დაცვას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ზედმეტი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რადგან ეს არ ნიშნავს, ხვალ ან ზეგ გავიღვიძებთ და საქართველოს ეკონომიკა აყვავებული დაგვხვდება — ამას გარკვეული ეტაპები სჭირდება. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ქართული რეალობა და ისიც, თუ რამდენად რთულია იმ პირობების შესრულება, რაც საჭიროა. ეს ნიშნავს, რომ ევროპული რეგულაციები და სტანდარტები ეტაპობრივად დაინერგება და ამ შემთხვევაში, შოკური თერაპია გამორიცხულია!

— ევროკავშირის რეგულაციებისა და სტანდარტების დანერგვა ბიზნესს მძიმე ტვირთად ხომ არ დააწვება?

— რა თქმა უნდა, არა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ასოცირების ხელშეკრულების ტექსტი ღია და საჯაროა. ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობის შეგრძნება და იმის გაცნობა, რეალურად საით მიდის ქვეყანა. სტაბილურობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, ყველაფერი სტატიკური და უცვლელი იყოს, ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს, როგორ ვითარდება ქვეყანა და რას უნდა ელოდეს თუნდაც სამი-ოთხი წლის შემდეგ. ასოცირების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი იმიტომაცაა, რომ მხოლოდ შიდა კი არა, უცხოური ინვესტიციებისთვისაც ერთგვარი სამართლებრივი გარანტიაა. მართალია, საქართველო ყოველთვის აცხადებდა, რომ ევროპისკენ მიისწრაფვის და სურს ევროკავშირის წევრობა, მაგრამ ახლა ეს სამართლებრივად განმტკიცდა, რადგან საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას. უცხოელი ინვესტორის თვალში ასეთი სამართლებრივი გარანტია ქვეყანას მეტ სანდოობას ანიჭებს, რაც ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციები გაიზრდება. მომხმარებელთა, კერძო საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცულობა, ჩემი აზრით, უცხოელ ინვესტორებს უბიძგებს, ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში, ე.წ. ნოუ ჰაუში განახორციელონ, რაც თანამედროვე ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა. საქართველო იმდენად შეზღუდული რესურსების ქვეყანაა, რომ მაგალითად, იაფი მუშა-ხელის შეთავაზებით ჩინეთს კონკურენციას ვერასოდეს გავუწევთ, თუმცა სხვა ასპექტებით, უპირატესობა გვაქვს, რომლის გამოყენებასაც შევძლებთ.

— უცხოელ ინვესტორებს საშუალება ეძლევათ, საქართველოში წარმოებული პროდუქცია, რომელსაც „დამზადებულია საქართველოში“ ეწერება, ევროკავშირის ბაზარზე იგივე საბაჟო შეღავათებით შეიტანონ, რა შეღავათებითაც ქართულმა პროდუქციამ უნდა ისარგებლოს?

— დიახ, ოღონდ უცხოელების მიერ საქართველოში წარმოებული პროდუქციაც ევროკავშირის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. ჩვენ აკუმულაციის სისტემის ნაწილი ვხდებით, მხოლოდ საქართველოში კი არა, იმ ქვეყნებში შექმნილ პროდუქციას, რომელიც ამავე სისტემის ნაწილია, ნედლეულად გამოვიყენებთ და ესეც საქართველოში წარმოებულ პროდუქციად ჩაითვლება. როგორც უკვე გითხარით, საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანაა და ყველა სახის ნედლეული არ გვაქვს.

— გასაგებია, საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულება უხარისხო პროდუქციისგან საქართველოს ბაზარსაც დაიცავს?

— ასოცირების ხელშეკრულება შიდაბაზარს, რა თქმა უნდა, უხარისხო იმპორტისგანაც დაიცავს. როგორც წესი, ამ ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები, ხშირად აპელირებენ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია ცხოვრების გაძვირებას გამოიწვევს. გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა, პროდუქცია გაძვირდეს, მაგრამ ცხოვრების დონე იმდენად გაიზრდება, არ შეიძლება, ეს მთავარი მიზეზი ყოფილიყო, რის გამოც ამხელა შესაძლებლობებზე უარი უნდა გვეთქვა. ცხოვრების დონის ზრდა მეტ შემოსავალს ნიშნავს, მეტი შემოსავლით კი ადამიანი მცირედით გაძვირებულ პროდუქციაა უპრობლემოდ შეიძენს. სამაგიეროდ, ზუსტად ეცოდინება, პროდუქტი სრულიად უსაფრთხო და უვნებელია. ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ პროდუქცია აუცილებლად გაძვირდება, რადგან არავინ იცის, რა, როგორ მოხდება. შესაძლოა, მოულოდნელად, ისეთი კლიმატური პირობები შეიქმნას, მოსავალი არ მოვიდეს, რაც კონკრეტულ პროდუქტს გააძვირებს და აქ ასოცირების ხელშეკრულება რა კავშირშია? ესა თუ ის პროდუქტი, შესაძლოა, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ფასების რყევის გამოც გაძვირდეს ან გაიაფდეს, მით უმეტეს, საქართველო მსოფლიო ბაზრებზეა მიბმული და მაგალითად, შაქრის, ხორბლის, ან საწვავის ფასის ცვლილება ჩვენზე არაა დამოკიდებული.

— ასოცირების ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები კონკრეტულ ფაქტებს ასახელებენ, მაგალითად: ევროკავშირის ექსპერტებმა რომ ნახონ, კახეთში, რთველის დასრულებისას, ფერმერი ვენახში ცხვარს როგორ კლავს, მის მიერ დაწურულ ღვინოს ევროპის ბაზრებზე არ დაუშვებენ, ან თუნდაც სამეგრელოში, სულგუნის ამოყვანის პროცედურას რომ დაესწრონ, ვერც ასეთი ყველი მოხვდება ევროკავშირის ქვეყნებში. კონკრეტულად, რა ტიპის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ რიგითმა ფერმერებმა, მათი პროდუქცია ევროპის ბაზრებზე რომ გავიდეს?

— ლიბერალური ეკონომიკა და ბაზრის თავისუფლება არ ნიშნავს, განუკითხაობა იყოს და სახელმწიფომ თავის ფუნქცია არ შეასრულოს. ლიბერალური ბაზარი ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის თავისუფლებას ნიშნავს. რაც შეეხება ამ მაგალითებს, ესეც რეგულაციებს უკავშირდება, მაგრამ, თუ გლეხს ეცოდინება, მისი ყურძენი ან ღვინო კარგ ფასად გაიყიდება, დამიჯერეთ, ჩვენი მითითება არ დასჭირდება, ისე დაკლავს ცხვარს სპეციალურ სასაკლაოზე. ცხადია, რთველის შემდეგ, კახელ გლეხს ცხვრის დაკვლას არავინ უშლის, ოღონდ ამას ვენახში აღარ გააკეთებს. არავის საქმე არ არის, როგორ ამოიყვანს მეგრელი ქალბატონი სულგუნს, თუ ეს ყველი საკუთარი მოხმარებისთვის სჭირდება. იმ შემთხვევაში კი, თუ საოჯახო ბიზნესი აქვს და სულგუნი უნდა გაყიდოს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო გააკონტროლებს, როგორაა დაცული ჰიგიენის ნორმები. შესაბამისად, ამ წესებს მეგრელი ქალბატონიც უპრობლემოდ დაიცავს. ზოგადად, ევროკავშირის რეგულაციების დაცვა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიცია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მხრივ. რაც უნდა ვიძახოთ, უძველესი კულტურის ქვეყანა ვართ და ყურძნის დაწურვაც ათასწლეულების წინ ვიცოდით, თუ ჩვენს მიერ წარმოებულმა ღვინომ მსოფლიო სტანდარტები არ დააკმაყოფილა, საერთაშორისო ბაზარზე ვერ გავიტანთ. მეორე მხრივ, ნებისმიერ ქვეყანაში, ბიზნესი მოგების მაქსიმიზაციისა და დანახარჯების მინიმიზაციისკენაა მიმართული, რაც ნიშნავს, რომ ბიზნესი თვითონ შეეცდება, უკეთესი პროდუქცია მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯით აწარმოოს. იქ, სადაც ახალი შესაძლებლობები ჩნდება, ბიზნესი წყალივით მოქმედებს და შანსი არ არსებობს, ეს შესაძლებლობა ვერ აითვისოს. ჩემი აზრით, ასოცირების ხელშეკრულების შედეგად, იმაზე მეტი ეკონომიკური ზრდა გვექნება, ვიდრე სხვადასხვა გათვლით, შესაბამისი სფეროს ექსპერტებმა იწინასწარმეტყველეს!

ვერსიანიუსი

სერგეი ლავროვი: „მოსკოვი საქართველოსთან კონსულტაციებისთვის მზადაა!“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვი მზადაა საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, ეკონომიკური პოლიტიკის ადაპტაციის მიზნით, კონსულტაციები გამართოს.

მისივე თქმით, რუსეთი ნებისმიერ მომენტში მზად არის კონსულტაციებისთვის, მათ შორის ქართველ კოლეგებთან, რადგან სავაჭრო ურთიერთობა რუსეთს უკვე საქართველოსთანაც აქვს.

„ჩვენ და საქართველოს გვაქვს სავაჭრო ურთიერთობები, რომლის გაღრმავება გვსურს“, — აღნიშნა ლავროვმა.

ლავროვის თქმით, რუსეთი ამ ვითარებას დააკვირდება ერთადერთი კრიტერიუმით — რამდენად გაუარესდება სავაჭრო პირობები რუსეთსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის ზონაში რჩებიან.

„რა თქმა უნდა, პირველ რიგში, გვაღელვებს რუსეთისა და იმ ქვეყნების ინტერესები, რომლებიც საბაჟო კავშირში არიან, კერძოდ, ბელორუსისა და ყაზახეთის. ცდილობენ, დაგვარწმუნონ, საშინელი არაფერი მოხდება და რუსეთიც, როგორც უკრაინა, მოგებული დარჩება“.

საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება 27 ივნისს გააფორმეს.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტმა მაგისტრატურაზე ბიზნესის ადმინისტრირებაში აბიტურიენტების მიღება დაიწყო

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში, მაგისტრატურაზე, ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA) ფინანსების დარგში აბიტურიენტების მისაღებად ონლაირეგისტრაცია უკვე დაწყებულია. უნივერსიტეტი წელს 50 აბიტურიენტს მიიღებს. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ორწლიანი მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში სტუდენტებს არაერთ უპირატესობას სთავაზობს, მათ შორისაა: კარიერული წინსვლა და უკეთესი პირობებით დასაქმების პერსპექტივა, პრაქტიკისა და თეორიის საუკეთესო ბალანსი, რეალური კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა წარმატებულ ადამიანებთან, დასავლური განათლების მიღება საქართველოში და სრული დაფინანსების შესაძლებლობა. რა განსაკუთრებულ პროგრამას სთავაზობს უნივერსიტეტი აბიტურიენტებს და რატომ უნდა გააკეთონ არჩევანი მაინცდამაინც ამ სასწავლებელზე? საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის უპირატესობებისა და დაფინანსების უნიკალური სისტემის შესახებ, რექტორი აკაკი ხელაძე თავად გვიამბობს.

— საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ფინანსური განათლების სფეროში მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, ფინანსური განათლების გავრცელებასა და მასზე ხელმისაწვდომობის ზრდას. გვინდა, ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება მივცეთ მათ, ვისაც ამის სურვილი აქვს. ამ მიზნით საინტერესო სამაგისტრო პროგრამა შევიმუშავეთ ბიზნესადმინისტრირებაში. ესაა ძალიან გააზრებული, კვლევის შედეგებზე დაფუძნებული პროგრამა. გვაქვს ამბიცია, გარკვეული სტანდარტებიც კი დავამკვიდროთ საგანმანათლებლო სივრცეში.

— ამ სივრცეში საკმაოდ ბევრი სასწავლებელია. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი, თავისი სამაგისტრო პროგრამით, ახალგაზრდებს, განსაკუთრებულს რას სთავაზობს?

— პროგრამის შექმნისას, ორიენტირი რამდენიმე კომპონენტზე ავიღეთ. უპირველესი კარიერული წინსვლა და უკეთესი პირობებით დასაქმებაა. ზოგადად, დასაქმება ყველაზე პრიორიტეტულია, ამიტომ, ევროპის ქვეყნების, აშშ-ს უნივერსიტეტების საუკეთესო სამაგისტრო პროგრამები შევისწავლეთ და ქართულ რეალობას მოვარგეთ. ეს ერთ-ერთი გარანტი იქნება, რომ კურსდამთავრებული კარგი პირობებით დასაქმდეს და კარიერული წინსვლაც ჰქონდეს. უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ პრაქტიკულ ცოდნასაც. სამწუხაროდ, საქართველოში, ხშირად, თეორიული ცოდნის მიღების შემდეგ, ბიზნესსამყაროში შესული ადამიანი უზარმაზარ ნაპრალს წააწყდება ხოლმე აუდიტორულ ცოდნასა და ბინზესრეალობას შორის. ამ ნაპრალის ამოსავსებად, ლექციების ჩატარების საინტერესო სტრუქტურა შევიმუშავეთ — ყველა საგანს მიმაგრებული ჰყავს ბანკის დირექტორატის წევრი მენტორი, რომელიც ამა თუ იმ საკითხს სტუდენტებთან ერთად პრაქტიკული მაგალითებით განიხილავს და წყვეტს. პარალელურად, სწავლის პერიოდში, სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას წამყვან კომპანიებში და ექნებათ შესაძლებლობა, ჩაერთონ რეალური ბიზნესის წარმართვის პროცესში. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ ყოველდღიურად, არამოძველებულ რეჟიმში იტესტება ცოდნა, რომელსაც სტუდენტი ჩვენთან იღებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტები ისწავლიან 2013-2014 წლებში შექმნილი უახლესი სასწავლო მასალებით, რომელიც უფასოდ გადაეცემათ. დამატებით, ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, დაესწროს უნივერსიტეტის ტრენინგცენტრის ტრენინგებს შემდეგ მიმართულებებში: დროის მართვა, ლიდერობა, გაყიდვები, მოლაპარაკების წარმოება, პრეზენტაციის ტექნიკა...

— მაგისტრატურაზე ბიზნესის ადმინისტრირებაში სწავლება რამდენწლიანია და გრაფიკი როგორაა შერჩეული?

— სწავლება 2-წლიანია. დღეს ტენდენციაა, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრო სწავლა და შეუერთდე სამუშაო ბაზარს. ამის გათვალისწინებით, გვაქვს სტუდენტის ცხოვრებაზე მორგებული გრაფიკი — ტრიმესტრული სწავლება. ანუ, სწავლა ორის ნაცვლად, 3 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს, კვირაში სამი დღე, საღამოს 7-დან 10 საათამდე.

— დაფინანსების სისტემაც სტუდენტის ცხოვრებაზეა მორგებული და ამ მხრივ, რა შეღავათებს სთავაზობთ მათ?

— დაფინანსების სისტემა ნამდვილად უნიკალურია. ჩვენი მიზანია, ფინანსების გამო, არც ერთი მოწადინებული სტუდენტი არ შეფერხდეს. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე ბიზნესის ადმინისტრირებაში ჩარიცხული 50 სტუდენტიდან, 10 საუკეთესო მიიღებს 100%-იან დაფინანსებას „საქართველოს ბანკისგან“. შემდეგი 20 სტუდენტი კი სწავლის საფასურის დაფარვას დაიწყებს სწავლის დასრულებიდან 1 წელიწადში და გადასახადი გადანაწილდება 4 წელზე. დაფინანსების მისაღებად, ახალგაზრდებს ვურჩევ, მაქსიმალურად მაღალ დონეზე ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდები და შემდეგ, შიდასაუნივერსიტეტო ტესტი ბიზნესის საფუძვლებში. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი საუკეთესო პირობებს სთავაზობს ახალგაზრდებს, იქნება ეს დაფინანსების სისტემა, უფასო სახელმძღვანელოები, თანამედროვე ინფრასტრუქტურა თუ პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა. ჩვენთან მიღებული უნიკალური პრაქტიკული გამოცდილება და თანამედროვე თეორიული ცოდნა თითოეულ სტუდენტს მისცემს რეალურ შანსს დასაქმდეს ბიზნესის ინდუსტრიაში და მიაღწიოს კარიერულ წინსვლას. ამ ფონზე, თამამად ვიტყვი, რომ მართლაც, „მომავალი იწყება აქ“.

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე ბიზნესის ადმინისტრირებაში რეგისტრაციისთვის, ეწვიეთ ვებგვერდს www.mba.edu.ge.

ნინო ლურსმანაშვილი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

დავით ნარმანია და ალეკო ელისაშვილი „სითი პარკს“ ემუქრებიან

ვის ჯიბეში მიდის ყოველწლიურად 34 მილიონი და რაფომაა კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება გასაიდუმლოებული

თბილისის ახალი საკრებულოს საბურთალოს დამოუკიდებელი მაჟორიტარი, ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი კომპანია „სითი პარკთან“ კონტრაქტის გაუქმების ინიციატივით გამოდის და ითხოვს, იმის დასადგენად, სად მიდიოდა უზარმაზარი თანხა, რომელიც კომპანიას ბიუჯეტში უნდა შეეტანა, გამოძიება დაიწყოს.

„თბილისს „სითი პარკთან“, ამ ბანდიტურ ორგანიზაციასთან კონტრაქტი 2007 წლის 5 დეკემბრიდან აქვს გაფორმებული და 7 წელია, ძარცვავს მძღოლებს. ვინ არ დაუჭერს მხარს, „სითი პარკთან“ კონტრაქტი გაწყდეს?! ქალაქი რეზინის ხომ არ არის, გაიწელოს. რაც არ ეტევა, არ ეტევა და ტროტუარი რამდენიც უნდა ხაზო, მაინც არ დაეტევა, „სითი პარკს“ უნდა აეშენებინა მრავალსართულიანი, მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომები. ერთი ავტოსადგომი მითხარით, რომელიც ააშენა. ამ ორგანიზაციასთან კონტრაქტი უნდა გაწყდეს. ამასთან, უნდა გამოვიძიოთ, სად მიდიოდა ის უზარმაზარი თანხა, რომელიც ბიუჯეტში უნდა შეეტანა. თბილისში 400 000 მანქანაა და წელიწადში თითო მძღოლი მხოლოდ 50 ლარს იხდის, რაც საერთო ჯამში, 20 მილიონია, ამას, პლუს, 15 მილიონი ჯარიმებიდან, მაგრამ თბილისის ბიუჯეტში მხოლოდ 1 200 000 შეაქვთ. დანარჩენი, 34 მილიონი სადღაც, ვიღაცების ჯიბეში მიდის. აი, ეს ჯიბეებია შესამოწმებელი! პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, ეს ფული სად ილექებოდა“, — აცხადებს ალეკო ელისაშვილი.

„სითი პარკის“ საქმიანობის დროულ გამოძიებას არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლებაც“ ითხოვს: „საგულისხმოა, რომ 7 წლის წინ, მერიასა და **„სითი პარკს“ შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილი კვლავაც მიუწვდომელია. გაუგებარია, კომპანიას პარკირების სფეროს მართვის, პრაქტიკულად, მონოპოლიური უფლება რატომ მიენიჭა. რატომაა ხელშეკრულების ვადა კომერციული საიდუმლო და რატომ არაა ასახული აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტის საჯარო ნაწილში. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ხელშეკრულების თანახმად, მერიას აქვს დაშვება „სითი პარკის“ სისტემასა და მის საბანკო ანგარიშებზე დაკვირვებაც დაუბრკოლებლივ შეუძლია. გარდა ამისა, შპს „სითი პარკის“ მიერ გამოწერილი ჯარიმების საფასური, უშუალოდ, თბილისის მერიის ანგარიშზე ირიცხება. კომპანია, ექსკლუზიური უფლების გათვალისწინებით, იღებს გადასახადების 40%-ს, რაც, რა თქმა უნდა, დამატებით კითხვებს ბადებს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ფარულ გარიგებამდე მივყავართ, სადაც კონკრეტული პირების მიერ „სითი პარკის“ საქმიანობის საკუთარი და მატერიალური ინტერესების შესაბამისად გამოყენება იკვეთება, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია მერკანტილური ფინანსური ინტერესების შესაბამისად. შესასწავლია, რა ფარული შეთანხმება არსებობს მერიასა და „სითი პარკის“ მფლობელ კომპანიას შორის. ორგანიზაცია მოუწოდებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, დროულად გამოიძიოს „სითი პარკის“ საქმიანობა და, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გამოძიების დეტალები გაასაჯაროს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, დამოუკიდებელი ავტოექსპერტი **რობერტ იანტბელიძე** აცხადებს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ადვილი არ იქნება:

„მე, მაგალითად, ახალი, დაუინტერესებელი და გაუსვრელი ადამიანებისგან კომპეტენტურ ჯგუფს შევქმნიდი და მოკვლევის შემდეგ დავდებდი დასკვნას, რატომ უნდა გაუქმდეს „სითი პარკთან“ არსებული ხელშეკრულება. სანამ ის დაინტერესებული ჩინოსნები, ვისი ნებითაც ნებართვა გაიცა, თავის ადგილას არიან, რამის თქმას ან გაკეთებას აზრი არ აქვს. მერიაში ახალი ხელმძღვანელობა უნდა მოვიდეს და დავას აზრი მერე ექნება“.

ამავე კონტექსტში შეგახსენებთ მერობის კანდიდატ დავით ნარმანიას წინასაარჩევნო დაპირებას, რომ მერად არჩევის შემთხვევაში, „სითი პარკს“ შეზღუდვები დაუწესდება. მისივე თქმით, თბილისში „სითი პარკისთვის” განკუთვნილ ადგილებს არა კომპანია, არამედ ქალაქის სატრანსპორტო სამსახური განსაზღვრავს. ნარმანიას განცხადებით, „სითი პარკი” საცობების მხრივ ბევრ პრობლემას ქმნის — პარკირებისთვის სავალი გზის ნაწილი აქვს დაკავებული, რომელიც უნდა გათავისუფლდეს.

კომპანია „სითი პარკში“ კი აცხადებენ, რომ სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლები ქალაქში სწავლობენ ადგილებს, შემდეგ, კომპანიას აძლევენ სიას, სად შეიძლება გაკეთდეს მონიშვნები და ამკრძალავი ნიშნები, რისი მოწესრიგების შემდეგ, კომპანია პარკირების ოპერირებას იწყებს.

კომპანიაში საცობებთან დაკავშირებით „ვერსიას“ განუმარტეს, რომ გზებზე საცობების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება, პარკირებაზე არასწორად გაჩერებული ერთი ავტომობილი გახდეს, რომელიც ათეულობით ავტომობილს აფერხებს. „სითი პარკის“ ცნობითვე, გასულ წლებთან შედარებით, მოსახლეობამ პარკირების წესების დაცვა დაიწყო. **„მოსახლეობამ უნდა გაითავისოს, რომ კომპანიის მიზანი არ არის ავტომობილის დაჯარიმება, ჩვენი საქმე წესრიგის დაცვის კონტროლია“**, — დასძენენ „სითი პარკში“.

როგორ გადაარჩინა 80 წლის მკვლელმა რუსთავის №17 ზონა გაწითლებას

პატიმარი №0578

იმ რეჟიმის პირობებში, რომელიც წინა ხელისუფლებამ ციხეებში შექმნა, „მაყურებლები“ მაინც ახერხებდნენ, კარცერში ჩაყვანილი პატიმრისთვის სიგარეტი და ჩაი მიეწოდებინათ. ზოგადად, „პალაჟენიას“ ზონებზე ე.წ. პალაჟენეცი ამკვიდრებს და ამას „მაყურებლების“ ხელით აკეთებს. იმ შემთხვევაში, თუ კარცერი გადაკეტილია ანუ იქ მყოფ პატიმრებს სიგარეტი და ჩაი არ მიეწოდებათ, დაწესებულებას „წითელი ზონა“ ჰქვია, გაწითლებულ ზონაზე კი „მაყურებელს“ არაფერი ესაქმება. ჰოდა, იმ რეჟიმშიც კი, ზონის გაწითლებას სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ვერც ერთი შეფი ვერ ბედავდა, თუმცა...

რუსთავის 17 დაწესებულებაში ჩვეულებრივი დილა გათენდა. პატიმრები საკნებიდან გამოვიდნენ, მათ შორის პატიმარი 0578. რამდენიმე წუთში ჩოჩქოლი ატყდა და ყველამ „მაყურებლების“ კამერასთან მოიყარა თავი. შიგნით არავინ შედიოდა, საკნის კართან კი ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა.

„თუ არ შეუძლიათ, წავიდნენ, ძმაო, რა პონტია, ზონა გაგვიწითლეს და ვინმემ რამე უნდა ქნას“, — ე.წ. ბლატატა უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდა. პატიმარმა №0578-მა ერთ-ერთი „ბლატნოი“ დაიმარტოხელა და რა ხდებაო, ჰკითხა.

— რაღა რა ხდება, ლაშა ბრეგვაძემ დღეს, დილით, კარცერი გადაკეტა, ეს კი ნიშნავს, რომ ზონას აწითლებს. თუ საღამომდე კარცერში სიგარეტი და ჩაი არ ჩავა, მაყურებლებმა ჯერ „შუმოკი“ უნდა მოაწყონ, თუ ესეც ვერ გამოიღებს შედეგს, მერე ბუნტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპეცრაზმი შემოვა და დაგვერევა. მოკლედ, შავ დღეში ვართ და არავინ იცის, რა იქნება. ხედავ, „ვიშკებზე“ ერთის ნაცვლად, ორი კაცი დგას უკვე, ეს საგანგებო მდგომარეობის დროს ხდება, — აუხსნა პატიმარმა.

ამ დროს „მაყურებლების“ საკანი გაიღო და ერთ-ერთი კორპუსის მაყურებელმა ხმამაღლა დაიძახა, 67-ე საკნიდან პატიმარი №0578 ჩამოიყვანეთ, საქმე გვაქვსო.

— აქ ვარ, — მშვიდად უთხრა პატიმარმა და „მაყურებლების“ საკანში შევიდა.

— შენ კანონი იცი და გვაინტერესებს, ოფიციალურად ვერ „მივაწვებით“ ბრეგვაძეს, კარცერში სიგარეტი და ჩაი რომ ჩაგვატანინოს? ოღონდ ეს, მაქსიმუმ, ორ საათში უნდა მოხდეს, თორემ სხვა გზა არ არის, „შუმოკი“ უნდა მოვაწყოთ და მინიმუმ, სპეცრაზმის შემოსვლა და მთელი ზონის დალეწვა კბილებით გვიჭირავს, — ზონის „პალაჟენეცი“ ხმადაბლა, მაგრამ დაძაბულად საუბრობდა.

— როგორც მახსოვს, კანონით ეგ აკრძალულია. აკრძალული რომც არ იყოს, ბრეგვაძე გვეტყვის, საჩივარი დაწერეთო და ამ საჩივრის განხილვას, მინიმუმ, 10 სამუშაო დღე უნდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორ საათში კი არა, ორ კვირაში გაწითლებულ ზონაზე ვიცხოვრებთ. მე სხვა იდეა მაქვს და... —პატიმარს სიტყვა რამდენიმე მაყურებელმა ერთად შეაწყვეტინა.

— რა იდეა? დროზე თქვი, წამები გვიწყვიტეს ახლა. ან ჩვენ უნდა შევასკდეთ ბრეგვაძეს, ან გარეთ რომ გაბრაზებული „ბლატატა“ დგას და მაყურებლობაზე უჭირავს თვალი, იმასთან მოგვიწევს ომი, — ახმაურდნენ „მაყურებლები“.

— მე-11 საკანში 80 წელს მიღწეული პატიმარი ზის. პაპას ეძახის ყველა. მაგ პატიმარს იცნობთ? — იკითხა №0578-მა.

— როგორ არ ვიცნობთ, ეგ უპატრონო პატიმარია, „ბედალაგა“, ჩვენ ვარჩენთ ჩაით და სიგარეტით. სიძის მკვლელობაზე ზის, მაგრამ ეგ რა შუაშია? —გაიოცეს პატიმრებმა.

— იმ შუაშია, რომ მაგას 22 წელი რუსეთში, ციმბირში აქვს მოხდილი, ქურდების ზეობის დროს, აქ კი 15 წელი იჯდა და როგორ გგონიათ, ამ ხნის განმავლობაში ან რუსეთში ან აქ ვინმეს ზონის გაწითლების სურვილი არ ექნებოდა? ჰოდა, მაგას ეცოდინება, როგორ იქცეოდნენ ქურდები და როგორ აირიდეს ხიფათი. მაგას უნდა ვკითხოთ, — მშვიდად თქვა პატიმარმა და მე-11 საკნიდან პაპა მოიყვანეს.

ახალმოსულმა საკანს თვალი მოავლო, №0578-ს გაუღიმა და მიესალმა, როგორ ხარ შვილო?

— არა მიშავს, შენ როგორ ხარ, პაპა, ხომ არაფერი გჭირდება?

— არა, კარაქიც მაქვს და თაფლიც, მადლობა შვილო, — უპასუხა მოხუცმა.

— რა კარაქი და თაფლი? — გაიოცეს მაყურებლებმა.

— თქვენ ამას მარტო სიგარეტს და ჩაის აძლევთ, ეს კიდევ 78 წლის არის და ორგანიზმს ბალანდის გარდა სხვა რამეც სჭირდება. კარაქს აქ ვყიდულობ, თაფლი გარედან შემოდის და ვუნაწილებ, — ახსნა №0578-მა, მერე კი პაპას მიუბრუნდა და შექმნილი ვითარება გააცნო.

მოხუცმა ჩაიღიმა და თავიც არ აუწევია, ისე თქვა: — 20 კოლოფი ჩაი, ქვაბი, „პლიტა“ და წყალი მოიტანეთ.

ყველაფერი 3 წუთში გაჩნდა. მოხუცმა „პლიტა“ ჩაართვევინა, ქვაბში წყალი ჩაასხა და ოცივე კოლოფი ჩაი შიგნით ჩაყარა. პატიმრები ყურადღებით უყურებდნენ. წყალი ადუღდა და საკანში ჩაის მძაფრი სუნი დადგა. ცოტა ხანში პაპამ ქვაბი გადმოდგა და ჩაი მარლაში გაწურა. შავზე შავი წყალი დარჩა ქვაბში და ქვაბი ისევ „პლიტაზე“ შემოდგა. დუღილის შემდეგ წყალი ამოშრა და შავი, პლასტელინივით მასა დადგა. პაპამ თავი ასწია და გამოაცხადა: ამ მასისგან ბურთულები გააკეთეთ, მძივს რომ აქვს, ისეთი ბურთულები.

ბურთულები სასწრაფოდ გააკეთეს, პაპამ ძაფზე ააცმევინა, ჯვარიც გამოაძერწინა და მაყურებლებს მიმართა.

— ახლა ვინმეს ეს „სამკაული“ კისერზე დაკიდეთ, რამე დააშავოს, კარცერში ჩაიყვანენ და ჩათვალეთ, 20 კოლოფი ჩაი ჩავა კარცერში. მძივს არ შეხსნიან და ერთი მარცვალი რამდენიმე ჭიქა „კუპეცს“ გააკეთებს, — მშვიდად თქვა პაპამ.

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე კი პაპას მიუბრუნდნენ: — სიგარეტზე რა ვქნათ?

— თუთუნი გადმოყარეთ და დაპრესეთ. ერთი კოლოფი ასტრისგან კაკლისხელა პრესი გამოვა, მერე რეზინის ქოშები რომ აცვიათ ბიჭებს, გვერდზე გაჭერით, გული ამოუღეთ და ეგ პრესები შიგნით ჩადეთ. ვინც ამ მძივს დაიკიდებს, ქოშებიც იმას ჩააცვით და ეგ არის, — დაასრულა პაპამ და საკანი დატოვა.

დაახლოებით ერთ საათში ერთ-ერთმა პატიმარმა ოფიცერს გვერდით გაუარა და წინ დაუფურთხა. ოფიცერმა იუკადრისა და პატიმარი მაშინვე კარცერის გზას გაუყენა. ყელზე მას პაპას დამზადებული მძივი ეკიდა, ფეხზე კი რეზინის ქოშები ეცვა... იმ დღეს კიდევ ორმა პატიმარმა მიაშურა კარცერს და კარცერში იმდენი ჩაი და სიგარეტი გაჩნდა, როგორც არასდროს. გაცოფებული ბრეგვაძე კარცერში მიმავალი პატიმრების ჩხრეკას თავად ესწრებოდა და ვერაფრით ხვდებოდა, როგორ ახერხებდნენ პატიმრები კარცერში ჩაისა და სიგარეტის შეტანას...

რამდენიმე დღის შემდეგ, პატიმარი №0578 მე-11 საკანში პაპას ესტუმრა და კარაქი და თაფლი მიუტანა. მოხუცმა გაუღიმა და არ მინდაო, უთხრა, მერე კი თავის კარადა გამოაღო და მოსულს დიდი რაოდენობით თაფლის და კარაქის მარაგი უჩვენა — მაყურებლებმა გამომიგზავნესო, მერე ნარზე წამონვა და...

— გუშინ სად გავჩერდით? ჰო, გამახსენდა, „მატროსკაია ტიშინას“ ამბავს გიყვებოდი, რუსებთან რომ ჩხუბი მომივიდა... მაინც რად გინდა, დეტალებში რომ მაყოლებ ჩემს ისტორიას, ვის აინტერესებს, — გაიღიმა პაპამ.

— ეგ ისტორიები რომ არა, ხომ არ მემახსოვრებოდა, რუსეთში ზონის გაწითლებას როგორ გადარჩით, — თვალი ჩაუკრა პატიმარმა და მოსასმენად მოემზადა.

პრობლემა

თბილისი — უმუშევრობის დედაქალაქი

„ევროპა უღმობელ ამოცანას გვიყენებს — ვიყოთ ხარისხიანნი!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

პოსტსაბჭოთა ქალაქებს შორის თბილისი უმუშევრობის დონით ლიდერ პოზიციაზეა — რუსული „ფორბსის“ მონაცემებით, საქართველოს დედაქალაქში უმუშევრობა 29%-ს აღწევს, რაც რუსული ბიზნესისთვის მიმზიდველი პოსტსაბჭოთა ქალაქების რეიტინგში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ცნობისთვის: მოსკოვში უმუშევართა წილი 2%-ია, ბაქოში კი — 2%–ზე ნაკლები. ეკონომისტები ამ ფაქტს „სამწუხარო რეალობას“ უწოდებენ და თვითდასაქმებულთა რაოდენობის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ხსნიან. კერძოდ, საქართველოში თვითდასაქმებულთა წილი 62%-ია მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში ეს წილი 15% არ აღემატება, აშშ-ში კი 7%-ია. უმუშევრობის დონე თბილისში უფრო დაბალია, ვიდრე რეგიონებში. მთავრობა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების კუთხით რეალურ ცვლილებებს რამდენიმე წელიწადში ელის.

„ფაქტია, სახეზე გვაქვს უმუშევრობა, რომლის აღმოფხვრა დღეს მთავრობის ნომერპირველი ამოცანაა. ამ მიზნით ხელისუფლებამ უკვე დაიწყო სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება — სოფლის მეურნეობის განვითარება, სამეწარმეო პროექტების განხორციელება, შეღავათიანი სესხებით სარგებლობაში მხარდაჭერა“, — ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძეს რუსული „ფორბსის“ მონაცემების არ სჯერა და აცხადებს, რომ თბილისში უმუშევრობის მაჩვენებელი, რეალურად, 11-12%-ის ფარგლებშია:

„მიიჩნევენ, რომ თბილისის მოსახლეობა მილიონ სამასი ათასია, რეალურად კი, ორ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ყველა უმუშევარი თბილისში ჩამოდის და ამბობს, რომ დაუსაქმებელია. სინამდვილეში, 11-12%-იანი უმუშევრობაა, ჩვენი სტატისტიკის დეპარტამენტის უფრო მჯერა, რომლის თანახმადაც, დედაქალაქში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 17%-ია. ისე, 11-12 პროცენტიც ცუდი მაჩვენებელია და 3-4-ზე უნდა დავიდეს, ამისთვის უმუშევრობა სამჯერ უნდა შემცირდეს, სამუშაო ადგილები შეიქმნას, მრეწველობა ამუშავდეს, მცირე ბიზნესი განვითარდეს და ა.შ. ეს სისტემური პრობლემაა, რომელიც უნდა გადაიჭრას“.

ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის ლიდერი: „ჩვენში უმუშევრობა, ძალიან დიდი პროცენტით, ხელოვნურია და შეგნებულ-დივერსიული მართვის შედეგია. ხელისუფლების მესამე თაობას ვხედავთ (შევარდნაძე-სააკაშვილი-ივანიშვილი, თუ ვინც არიან ახლა სათავეში), რომელიც მიზანმიმართულად ეწეოდა და ეწევა დივერსიულ საქმიანობას, რაც საქართველოში ე.წ. საშუალო კლასის არშექმნაში გამოიხატება. კონკრეტულ ფაქტს გეტყვით: წლების წინ, გურიაში, ოჯახური ბიზნესი შექმნეს, ბიძაშვილ-მამიდაშვილები ჩართეს და ტყემლის კრეფა დაიწყეს. შეაგროვეს, მოხარშეს, შეურიეს, რაც საჭირო იყო და დოლარში რეალიზაცია მოახდინეს. კარგი კლიენტი შეხვდათ — საქონელი მოეწონა და მეორე წელს იგივე, უფრო დიდი მასშტაბით გაიმეორეს, მესამე წელსაც ხელშეკრულება დიდ შეკვეთაზე დადეს, მაგრამ მოადგა საგადასახადო და უთხრა, არ გეგონოს, იმისთვის მოვედით, კაპიკები დაგცინცლოთ, დედას გიტირებენ, საერთოდ გაგაქრობენ, სჯობს, შენივე ხელით დახუროო და საწარმო დააკეტინეს. ეს ტიპური შემთხვევაა, რის გამოც ქვეყანაში დღემდე თავისუფალი მეწარმეობა ვერ განვითარდა და საშუალო კლასი ვერ ჩამოყალიბდა. გლეხს მცირეპროცენტიანი სესხი სჭირდება, რომ მეურნეობა ფეხზე დააყენოს. ეს მცირეპროცენტიანი სესხი მსოფლიოშიც იშოვება და საქართველოშიც, მაგრამ როცა ყველაფრის მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია, გლეხამდე მცირეპროცენტიანი სესხის მისვლას არავინ დაუშვებს, ძირითადი მიზეზი სწორედ ესაა. ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ძვირი ენერგეტიკაცაა — დენი რომ ასე ძვირია, ესეც პერმანენტული დივერსიაა შევარდნაძით დაწყებული, დღევანდელებით დასრულებული. სიმართლე გითხრათ, ივანიშვილის იმედი მქონდა, რომ სოფლის მეურნეობას გააცოცხლებდა და განათლებას ფართო გზას გაუხსნიდა, მაგრამ არც ერთი არ გააკეთა.

რაც შეეხება ევროკავშირთან ასოცირების გაფორმებას, დეტალებს არ ჩავუღრმავდები და მგონია, რომ ჯამურად, ეს კარგი შედეგისმომტანია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ქართველ ერს, მთელ საზოგადოებას ულმობელ ამოცანას გვიყენებს — ვიყოთ ხარისხიანნი. ასეთები ვიქნებით, ყველა პარამეტრში მოვიგებთ, მაგრამ, თუ ისევ უხარისხოები დავრჩებით, ყველა პარამეტრში წავაგებთ და საბოლოოდ, დედაც გვეტირება. ის ასპარეზი გვეხსნება, სადაც დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული“.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲐᲠᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

			7		2		3	1
				8			7	2
						9		
		6	5			3	8	
	7		6		3		1	
	9	2			7	6		
		4						
1	6			5				
7	5		1		4			

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7				6				1
		1			3			8
					9	7		
	5	9		2				4
		6				3		
2				7		1	5	
		3	4					
8			1			2		
6				3				7

ᲠᲗᲣᲚᲘ

7			1			3	5	
	9		4	2				
2								
4			9				7	
	8						3	
	3				5			1
								4
				7	2		1	
	7	1			6			8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		6			4	3		
9	8			5				4
	7				6			
3		7		4				8
1			8		3			2
6				2		4		3
			9				2	
7				1			4	6
		1	4			8		

ᲒᲝᲛᲭᲘᲡ ᲡᲘᲙᲒᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲝᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ

რისთვის უნდა აგროვო ადამიანმა ფული, თუკი მთელ ცხოვრებას სიღატაკეში გაატარებ? ესეც, ალბათ, ერთგვარი პათოლოგიაა, რომელიც შვედ დაგერმანს ახასიათებდა — ამ უბედურმა ადამიანმა ვერ მოასწრო თავის კაპიტალის გამოყენება. იგი კარგად სწავლობდა სკოლაში და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გაიზარდა და ღატაკივით ცხოვრობდა, დახეტიალობდა, მათხოვრობდა, სადაც დაუღამდებოდა, იქ ეძინა და ნაგვის ურნიდან იკვებებოდა. მამაკაცს ბინაც ჰქონდა, მაგრამ ნაგვის ყუთად აქცია, საიდანაც საშინელი სუნი გამოდიოდა და როცა ეს „არომატი“ აუტანელი გახდა, მეზობლებმა სოციალური სამსახური გამოიძახეს. ნაგვის უზარმაზარ გორებს შორის სოცმუშაკებმა სახლის პატრონის გვამი აღმოაჩინეს და მასთან ერთად ოქროს 43 ზოდიც იპოვეს, რომელთა ღირებულება 1,5 მილიონ დოლარს შეადგენდა. საიდან აღმოაჩნდა დაგერმანს ასეთი ქონება, მოგვიანებით გაირკვა: მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თვრებოდა, ჩანს, თავს მაინც არ კარგავდა. რეგულარულად კითხულობდა პრესას და ყველაზე მდიდარ კომპანიებს ადევნებდა თვალს. 30 წლის განმავლობაში ღატაკი მილიონერი თუნუქის ქილებს აბარებდა და ფულს სწორედ წარმატებული შვედური კომპანიების აქციებში აბანდებდა, მოგების კონვერტირებას კი ოქროს ზოდებში ახდენდა.

იტალიელები შოკოლადის სიგარას ეწევიან

იტალიურმა კომპანია Manifatture Sigaro Toscano-მ ახალი სიგარების გამოშვება დაიწყო, რომელსაც გემო, ფერი და სურნელი შოკოლადისა აქვს, მაგრამ მათი ყიდვა, ჯერჯერობით, მხოლოდ იტალიაშია შესაძლებელი. ასეთ „მოსაწევ დელიკატესებს“ კუბაზე კარგა ხანია უშვებენ, თუმცა შოკოლადის თამბაქო მწეველებისთვის აქამდე არავის შეუთავაზებია. Manifatture Sigaro Toscano პროდუქციის გამოშვებას წლის დასაწყისიდან შეუდგა და ბაზრის 2% უკვე მოიცვა. კომპანია კმაყოფილია ამ შედეგით და მყიდველთა რაოდენობის ორჯერ ზრდას ვარაუდობს. შოკოლადის სიგარების ღირებულება (ერთ შეფუთვაში ხუთი სიგარაა) 4 ევროა. იტალიური კომპანიის კიდევ ერთი უჩვეულო პროდუქტი ყავის გემოს სიგარებია — ისინი სამი წელია გაყიდვაშია და როგორც სტატისტიკა მოწმობს, მწეველთა 12% მისი თაყვანისმცემელი გახდა.

„ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ“ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲣᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲡ

კანადელმა სპეციალისტებმა ახალი გამოგონების პრეზენტაცია მოაწყვეს — ეს „ჭკვიანი“ საცურაო კოსტუმია. სწავლულების თქმით, „კუპალნიკი“ მის მფლობელს ზედმეტი ულტრაიისფერი გამოსხივების შესახებ აფრთხილებს. გარეგნულად, პლაჟის ახალი კოსტიუმი ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება, თუმცა, სპეციალური მასალითაა „გალამაზებული“, რომელიც ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსივობის მიხედვით იცვლის ფერს. თუ გამოსხივება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, პლასტმასის მძივები თეთრი ან ღიალილისფერია, როცა მავნე სხივები დასაშვებ ნორმას სცილდება, მორთულობა მუქი-ლილისფერი ხდება, რაც ნიშნავს, რომ დროა, მზის აბაზანების მიღება დაასრულოთ. სიახლეს, რომელსაც SmartSwim UV Intensity Bikini უწოდეს, კომპანია Solestrom უშვებს. „კუპალნიკის“ ღირებულება 100 დოლარია და მასზე მოთხოვნილებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	9	8	2	7	5	3	6	1
6	7	5	4	1	3	2	9	8
2	3	1	9	6	8	7	4	5
3	2	7	1	9	6	8	5	4
5	6	4	8	3	7	1	2	9
1	8	9	5	2	4	6	7	3
9	5	2	6	8	1	4	3	7
8	4	3	7	5	2	9	1	6
7	1	6	3	4	9	5	8	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	3	2	1	8	7	6	5	4
6	5	1	9	3	4	2	8	7
4	8	7	2	6	5	1	9	3
2	7	3	6	1	9	8	4	5
5	1	6	8	4	3	9	7	2
8	4	9	5	7	2	3	6	1
3	6	8	7	5	1	4	2	9
1	2	5	4	9	8	7	3	6
7	9	4	3	2	6	5	1	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	7	4	6	3	2	1	9	8
1	3	2	7	9	8	5	6	4
9	6	8	5	4	1	7	3	2
2	9	7	8	6	5	4	1	3
3	8	1	4	7	9	6	2	5
6	4	5	1	2	3	9	8	7
4	2	6	3	1	7	8	5	9
8	1	3	9	5	4	2	7	6
7	5	9	2	8	6	3	4	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	1	9	8	6	5	2	4	3
3	4	8	7	2	1	5	9	6
6	2	5	4	9	3	8	1	7
9	3	7	6	8	2	4	5	1
8	6	4	1	5	9	7	3	2
2	5	1	3	7	4	9	6	8
1	7	6	5	4	8	3	2	9
5	9	3	2	1	7	6	8	4
4	8	2	9	3	6	1	7	5

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	5	9	2	1	8	7	6	3
7	3	2	6	5	4	1	9	8
1	8	6	9	3	7	5	2	4
2	9	3	8	7	1	6	4	5
8	7	5	4	2	6	9	3	1
6	1	4	5	9	3	8	7	2
5	6	1	7	4	2	3	8	9
3	4	8	1	6	9	2	5	7
9	2	7	3	8	5	4	1	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	3	7	9	2	5	1	8	6
5	2	1	8	7	6	4	9	3
9	6	8	3	4	1	2	7	5
8	7	6	5	1	2	3	4	9
3	4	2	7	9	8	6	5	1
1	5	9	6	3	4	8	2	7
7	1	5	4	8	3	9	6	2
2	9	4	1	6	7	5	3	8
6	8	3	2	5	9	7	1	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	4	3	1	9	8	5	7	6
1	9	8	7	6	5	4	3	2
6	7	5	2	4	3	1	9	8
9	2	4	8	7	6	3	5	1
5	1	7	4	3	2	6	8	9
8	3	6	5	1	9	2	4	7
7	5	2	6	8	4	9	1	3
4	8	9	3	2	1	7	6	5
3	6	1	9	5	7	8	2	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	3	2	8	6	4	7	1	5
5	7	6	3	2	1	8	9	4
4	1	8	5	9	7	2	6	3
7	8	3	1	5	6	9	4	2
2	6	5	9	4	3	1	8	7
1	9	4	7	8	2	5	3	6
8	2	7	4	3	9	6	5	1
3	5	1	6	7	8	4	2	9
6	4	9	2	1	5	3	7	8

მე-10 გვერდი: 1. მზესუმზირა; 2. სათითე; 3. მეტეორი; 4. ესტონეთი; 5. უნაბი; 6. სეკვესტრი; 7. თათარიახნი; 8. თარაშ; 9. სტატუა; 10. იალაღი; 11. ჯოან; 12. კითარა; 13. ავლი; 14. იუტა; 15. რაში; 16. დოინჯი; 17. სათლი; 18. ტულა; 19. რაეო; 20. სტივ; 21. აინი; 22. მუხამბაზი; 23. ღრუ; 24. ჰომეროსი; 25. ალაჰი; 26. ჯავზი; 27. რახი; 28. ნოინი; 29. უნია; 30. ეტალონი; 31. სკიბობი; 32. ჯეკ ნიკოლსონი; 33. ვიბრიონი; 34. ბზე; 35. ძუა; 36. ოლე; 37. აბდალი; 38. ლაზარეთი; 39. ელვის; 40. ნობილე; 41. როზალია; 42. ახო; 43. ატომი; 44. ადორაცია; 45. სოლ; 46. აია; 47. ეტი; 48. არალი; 49. იგუანა; 50. ეოსი; 51. თივთიკი; 52. ზმნა; 53. აკინაკი; 54. დოდო; 55. ეტოო; 56. ტიუსო; 57. ატამანი; 58. ბიზე; 59. დალილა; 60. ნოკია; 61. სონა; 62. ალგოლი; 63. ლუი; 64. ავიეტი; 65. აზარტი; 66. კირი; 67. ჰა; 68. ალსუ; 69. აბაკა; 70. ასია; 71. თუთა; 72. აკიდო; 73. ბონო; 74. ირა; 75. ატრია; 76. ნიცა; 77. აული; 78. ოკარინა; 79. კუმისი; 80. ირიბი; 81. სი; 82. კლასიკა; 83. ამადუ; 84. კაა; 85. ქსი; 86. დენი.

1.„ვარისკაცის მამის“ პერსონაჟი
2. „სამკითხაო“ ყვავილი
3. ჩრდილოამერიკული დათვი
4.ზრდილობიანი დასტურის სიტყვა
5. მდინარე ქუთაისში
6. ჩინეთის ფულის ერთეული
7.მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერალი
8.კრედიტი უძრავი ქონების თავდებით
9.კომპოზიტორი ... სტრავინსკი
10.საბერძნეთის დედაქალაქი
11. „რიცხვთა მამა“
12. საფეიქრო ბანანი
13. ოთხბორბლიანი სასრიალო ფიცარი
14. ტბა აფხაზეთში
15. „ისტორიის მამა“
16. მოღალატე, განდგომილი
17.ქართველი პოეტი და მსახიობი
18. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
19. ჩიტი ძველ ქართულში
20. კის მეგობარი „თოვლის დედოფალში“
21. ანტიკური კავალერია
22. წესიერი ექვსწახნაგა სხეული
23. იგივეა, რაც მერიქიფე
24. თამბაქოს ერთ-ერთი სახეობა
25.მუსიკალური გამის III ნოტი
26. ბოროტ. ღვთაება სპარსულ მითოლოგ.
27. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
28. განხეთქილება ეკლესიაში
29.მარიტას ქმარი „ნატვრის ხეში“
30. ბოლშევიკთა პირველი გაზეთი
31. კომკავშირის აბრევიატურა
32. მოგზაური მარკო ...
33.სიგრძის ძველქართული ერთეული
34. ტიბეტური ხარი
35.ოფიციალური დოკუმენტის სახეობა
36. მწერალი ... ჭილაძე
37. ხის ქოჩორი, ვარვარი
38.მეფის ხელისუფ. მანიშნებ. საგანი
39. სოხუმის აფხაზური სახელწოდ.
40. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
41. ერთუჯრედიანი ორგანიზმი
42. ერთცხენიანი საქერაო ეტლი
43. მსახიობი ... პაჩინო
44. ებრაელთა რეპატრიაცია
45. რუსი საბჭოთა ილუზიონისტი
46. ქართული ხალხური სიმღერა
47. ძაღლის ჯიში
48. კედლის სანათი
49. რაფაელ საბატინის კაპიტანი
50. პოეტური გამოცანა
51. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
52. ქართული დასახლება ბამზე
53. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
54ქალაქი შუამდინარეთში
55.იტალ. მწერალი ... პირანდელო
56. ბულგარული არაყი
57. ჩინური ფლეიტა
58. ძროხის ნაშიერი
59. შუბი მასში არ იმალება
60. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
61.გადაშენებული მორბენალი ფრინველი
62. ქალაქი ფინეთში
63. მტრის ზურგში მოქმედი შეიარაღებული ბრძოლის მონაწილე
64. წილი საერთო საქმეში
65. დიდი ქვა
66. ნაბიჯი ბალეტში
67. ჯავშნიანი რეპტილია

კონკურსი ყველაზე უარეს ბიუროკრატიაზე

გასულ კვირას მექსიკის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა კონკურსში მონაწილეობის წესები და პრიზები, რომელმაც ქვეყანაში ბიუროკრატიისა და კორუფციის ყველაზე უარესი მაგალითი უნდა გამოავლინოს. მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ანკეტები, მაგალითად, ასეთი კითხვებით: „მოუთხოვიათ თუ არა თქვენთვის არარსებული ან ძნელად მისაღები დოკუმენტები?“ „მოუთხოვიათ თუ არა ქრთამი მომსახურების გაწევისთვის?“ გარდა ამისა, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ხედვა სამთავრობო დაწესებულებებში მუშაობის გაუმჯობესებისთვის. ის, ვინც ფედერალურ დონეზე ბიუროკრატიის უარეს მაგალითს აღმოაჩენს და პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ვარიანტს წარადგენს, ჯილდოდ 27 ათას დოლარს მიიღებს, შტატების დონეზე გამარჯვებულებს კი მუნიციპალიტეტები 9,3 ათას დოლარს გადაუხდიან.

მილიარდერს „შოპოგოლიზმის“ შეტევა დაემართა



ნიუ იორკის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, 68 წლის მაგნატი ედ ბაზინეტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, რადგან საყიდლების გიჟური მარათონი მოაწყო ადგილობრივ ბაზრობაზე და ეს გასეირნება დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაუჯდა. გაოგნებული თვითმხილველების თქმით, ბაზინეტი ოთხი დღის განმავლობაში ზედიზედ, Javits Center-ის ბაზრობის ერთი დახლიდან მეორესთან გადადიოდა და ყველაფერს ყიდულობდა, რაც კი თვალში მოხვდებოდა — ტანსაცმლის საკიდები, არომატული ბალახების ტომსიკები, ბარბექიუს მოწყობილობები და სხვა. შედეგად უამრავი უსარგებლო ნივთი შეიძინა. ის უბრალოდ მიდიოდა დახლთან და ამბობდა: მომეცით ეს 1000 ცალი და კიდევ ის, 1000 ცალი. არანორმალურივით იქცეოდა, — ამბობს ერთ-ერთი გამყიდველი, — არც ფასს უყურებდა, არც საქონლის ხარისხით ინტერესდებოდა. ასევე ცნობილი გახდა, რომ ბაზინეტის სახლში უამრავი ნივთი მიიტანეს, რომელიც მაგნატმა ინტერნეტით შეუკვეთა როგორც ამერიკაში, ასევე უცხოეთში. ბაზრობის ერთ-ერთმა გონიერმა გამყიდველმა სასწრაფო გამოიძახა და მილიარდერი ფსიქიატრიულში წაიყვანეს. ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ ცოტა ხნის წინ ბაზინეტი პარიზში იმყოფებოდა, სადაც უსარგებლო ნივთებზე 39 მილიონი დახარჯა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

სუდოკუ

ადვილი

			9			5		1
1				3				2
				4	2			9
	4		8					
		7	5		6	4		
					3		2	
5			7	9				
2				6				8
7		8			1			

სტანდარტი

	7			2				
		2		1		9	7	
1			7				3	
		8			3	6		
			8	4	2			
		4	1			7		
	8				7			5
	4	9		6		3		
				8			1	

რთული

	6			3	2		9	
	1	9						
4								6
	3				9	8		
5	2			1			6	7
		8	6				4	
3								4
						5	1	
	9		5	6			2	

ექსპერტი

6	5					1		7
				4		5		
7			5				4	
		7	6	5				9
	1	2		3		8	6	
8				1	9	7		
	8				5			1
		3		6				
5		9					8	6

ხორცი მკერდის კიბოს იწვევს?

ჰარვარდელი სწავლულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რომლებსაც უყვართ ჰამბურგერი, სტეიკი და სხვა ნაწარმი, სარძევე ჯირკვლების კიბოს განვითარების მაღალი ალბათობა ახასიათებთ და ეს დაადასტურა გამოკვლევებმაც. მედიკოსები აცხადებდნენ, რომ ხორცი სწორი ნაწლავისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნეს იწვევს, ახლა კი ამ სიას მკერდის კიბოც დაემატა. ჰარვარდელმა მკვლევარებმა 26-დან 45 წლამდე ასაკის 88 ათასი ქალის მონაცემები გააანალიზეს. კვლევა 1991 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდებოდა. მკვლვარებმა პაციენტები რამდენიმე ჯგუფად დაყვეს — ვინც საერთოდ არ მიირთმევდა წითელ ხორცს, თვეში ერთხელ ჭამდა ან თვეში რამდენჯერმე. შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ხორცის მოხმარებასა და სიმსივნურ დაავადებებს შორის. ყველა მონაცემის შეჯერებისას, სწავლულებმა დაასკვნეს, რომ 100 ქალიდან დაახლოებით 7 ავადდება სარძევე ჯირკვლების სიმსივნით 20 წელზე ზემოთ ასაკში — წითელ ხორცში არსებული ცილა აჩქარებს უჯრედების დაყოფასა და სიმსივნის ზრდას.

კომბოსტო რადიაციისგან გვიხსნის

ნაერთებმა, რომელსაც ფოთლოვანი, ყვავილოვანი კომბოსტო თუ ბროკოლი შეიცავს, ლაბორატორიული თაგვები გამაგამოსხივებისგან დაიცვა. ეს ნაერთები პერსპექტიულია სხივური თერაპიის შედეგების შესარბილებლად და ასევე, ტექნოგენური კატასტროფებისას რადიაციით დაზარალებულების დასახმარებლადაც. სპეციალისტების განცხადებით, ანტიკანცეროგენული მოქმედებით კომბოსტოში არსებული ერთ-ერთი ნაერთი indol-3 კარბინოლი და ორგანიზმში მისი დაშლის შედეგად მიღებული პროდუქტი დიინდოლილმეტანი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი უჯრედებს გამოსხივებისგან იცავს ფერმენტის გააქტიურებით, რომელიც დაზიანებულ დნმ-ს არეგულირებს, რაც აუცილებლად ხდება დასხივებულ უჯრედებში. ეს მეტად ღირებული თვისებაა, მაგრამ მხოლოდ ჯანმრთელ ქსოვილებს იცავს და არა სიმსივნურს, თუმცა მისი გამოყენება მაინც შესაძლებელია კიბოს დროს სხივური თერაპიის მავნე შედეგების შესარბილებლად. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ დიინდოლილმეტანის პრაქტიკული გამოყენება, შესაძლოა, ორ სფეროში მოხდეს: სხივური თერაპიისას პაციენტის ჯანმრთელი ქსოვილების დასაცავად და ასევე იმ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, ვინც ტექნოგენური კატასტროფის შედეგად რადიაციული გამოსხივებით დაზარალდა.

რა იწვევს მუდმივ დაღლილობას

დაღლილობის შეგრძნება უამრავ ადამიანს აწუხებს, ხშირად, ამ ჩივილის უკან მხოლოდ უძილობა იმალება, თუმცა მიზეზი, შესაძლოა, რომელიმე დაავადებაც იყოს. დაღლილობას იწვევს რკინის ან ვიტამინების ნაკლებობა, ასევე დეპრესია. თუ ადამიანი მუდმივად ძილის ნაკლებობას განიცდის, ეს დაღლილობის შეგრძნებას იწვევს, რაც ზოგჯერ კონცენტრაციის პრობლემებით, თვალების წვითა და ტკივილის მზარდი შეგრძნებით გამოიხატება.

გარდა ამისა, მუდმივი დაღლილობა, შესაძლოა, სხვადასხვა დაავადების თანმხლები სიმპტომი იყოს — ინფექციური, მეტაბოლური (ნივთიერებათა ცვლის) დაავადებები, სიმსივნე, ფსიქოლოგიური მიზეზები, ვიტამინების ნაკლებობა. თუ ხშირად გრძნობთ დაღლილობას, პირველ რიგში, რამდენიმე მარტივი ხერხით გადაამოწმეთ, შეძლებთ თუ არა ამის დამარცხებას. 1. შეეცადეთ იმის დადგენას, დაღლილობა გამოწვეულია ძილის უკმარისობით თუ სამსახურში მიღებული სტრესით. დააკვირდით, ქრება თუ არა დაღლილობა შუადღის მოკლეხნიანი ძილის შემდეგ. 2. შეეცადეთ, დღის განმავლობაში საკმარისი რაოდენობის წყალი (სულ ცოტა, 1,5 ლიტრი) მიიღოთ, იკვებეთ დაბალანსებულად და ვიტამინებით მდიდარი საკვებით. 3. დააკვირდით, გაივლის თუ არა დაღლილობა დილით ცივი შხაპის მიღების შემდეგ. 4. იყავით ფიზიკურად აქტიური, იმოძრავეთ ბევრი! მოძრაობა სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს და დაღლილობის შეგრძნებისგან ათავისუფლებს. თუ ამის შემდეგაც არ გაუმჯობესდა თქვენი მდგომარეობა, მიზეზის დასადგენად ექიმს მიმართეთ. თუ დაღლილობის მიზეზი დეპრესიაა, ღამით დაძინება ძალიან ჭირს; ასეთ შემთხვევაში ადამიანმა, სჯობს, ფსიქოლოგის დახმარებით ისარგებლოს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

TOP COMPANIES OF GEORGIA The Third Tour

TOP COMPANIES

BUSINESS COMPANIES

SARAJISHVILI SINCE 1884
AVERSI
ITDC
ROYAL BATONI
PASHA Bank
GEORGIAN AMERICAN ALLOYS
PSP
ED
599 30 14 18 www.ed-development.ge
SOCAR
GINO ჯინო PARADISE ფერადისი
LB საფუძვლიანი სერტიფიკატი CERTIFICATE OF DEPOSIT
Schuchmann
GCBH Georgian Carriage Builders Holding
vivus.GE Money for Today's People

MEDIA PARTNERS

THE GEORGIAN TIMES ON-LINE NEWSPAPER Georgian * English * Russian
MYVIDEO.GE
მზილისელები
tv11
Business Time Georgia
ვერსია
1 Way TOURIST MAGAZINE
ტაბულა
მაესტრო
PRIME Time
ავტორადიო GE FM 95.1 თბილისი
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ